პოლიტოლოგიის ინსტიტუტი

ლევან თოიძე

ბრძოლა ბათუმისათვის: 1921 წლის მარტი

ნაშრომი გამოსაცემად მოამზადა, წინათქმა
და კომენტარები დაურთო ოთარ ჯანელიძემ

თბილისი
2009

რედაქტორი:
ოთარ ჯანელიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

რეცენზენტები:
მალხაზ მაცაბერიძე
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ირაკლი მანველიძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,
შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

წინამდებარე წიგნი თვალსაჩინო ქართველი მეცნიერის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლევან თოიძის უკანასკნელი ნაშრომია. მასში გაშუქებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ბოლო დღეები და მოთხრობილია ქვეყნის საზღვაო კარიბჭის – ქალაქ ბათუმისა და მისი შემოგარენის თურქ ასკერთა ოკუპაციისაგან განთავისუფლების შესახებ 1921 წლის მარტში. ბათუმის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში, რომელიც რამდენიმე დღეს გაგრძელდა, ნაჩვენებია ქართული მხედრობის, აჭარის ბოლშევიკური ხელისუფლების ორგანოს – რევოლუციური კომიტეტისა და ადგილობრივ მცხოვრებთა დიდი ძალისხმევა.

საგამომცემლო-ანალიტიკური ცენტრი „ახალი აზრი“
თბილისი, 2009

ISBN 978-9941-0-1957-9

წინათქმა

ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, ჩინებული მკვლევარი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი ლევან თოიძე 1996 წელს გარდაიცვალა. მის მრავალრიცხოვან პუბლიკაციებს 1999 წელს ახალი მნიშვნელოვანი წიგნი შეემატა, რომელშიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლების დრამატიზმით აღსავსე პოლიტიკური ისტორიის კარდინალური საკითხებია განხილული. ლევან თოიძის მეცნიერული მემკვიდრეობის ეს ერთგვარად შემაჯამებელი კაპიტალური გამოკვლევა აქამდე სწავლულის ბოლო ნაშრომად იყო მიჩნული. საბედნიეროდ, მის პირად არქივში აღმოჩნდა კიდევ ერთი დასრულებული ნარკვევი სათაურით – „ბრძოლა ბათუმისათვის: 1921 წლის მარტი," რომელიც მეცნიერის სიცოცხლეში გამოქვეყნებული არ ყოფილა.

38 გვერდისაგან შემდგარი ლევან თოიძის ხელნაწერი ნაშრომი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ბოლო დღეთა ისტორიას აგვიწერს და მოგვითხრობს დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევაზე ბათუმის შესანარჩუნებლად ემიგრაციაში გახიზვნის წინ. აქვე გაშუქებულია აჭარაში შექმნილი ბოლშევიკური ორგანიზაციის – რევკომისა და მისი ხელმძღვანელების მონაწილეობაც ამ საშვილიშვილო საქმეში.

მკითხველმა უთუოდ იცის, რომ 1921 წლის გაზაფხულზე ბათუმში ბრძოლა არ წარმოებდა რუსეთის წითელ არმიასა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხედრობას შორის, რადგან მათი სისხლიანი შეტაკება 1921 წლის 18 მარტს ქუთაისში ხელმოწერილი ზავით უკვე შეწვეტილი იყო. ბათუმი და მისი შემოგარენი მაშინ გასანთავისუფლებელი თურქთა იმ ძალებისაგან გახდა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ისე შემოვიდნენ, როგორც საქართველოს მოკავშირე და დამხმარენი ბოლშევიკური აგრესიის მოსაგერიებლად. ავტორის სიტყვით: „თურქი ასკერები თითქოს წითელი არმიის ნაწილების წინააღმდეგ

საბრძოლველად შემოვიდნენ აჭარაში (დაპირება ასეთი იყო); მაგრამ მალე გამოირკვა, რომ მათ სისხლდაცლილ საქართველოზე ხელის მოთბობა, კერძოდ, ბათუმის მიტაცება სურდათ."

ცნობილია, რომ საქართველოს საზღვაო კარიბჭე — ბათუმი საუკუნეთა განმავლობაში გარეშე მტრებს არაერთხელ უქცევიათ დაპყრობის სამიზნედ. ხანგრძლივი დროით იგი დედასამშობლოსაც ყოფილა მოწყვეტილი, მაგრამ არასოდეს განელებია დანარჩენ საქართველოსთან კვლავ შეერთების მისწრაფება. უკანასკნელი საფრთხე ქალაქ-ნავსადგურსა და მის მოსახლეობას სწორედ 1921 წლის გაზაფხულზე შეექმნა. მართალია იმ ხანად საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის მოსკოვში გაფორმებული ხელშეკრულებით ბათუმი თავის ოლქითურთ საქართველოს უნდა დარჩენოდა, მაგრამ თურქეთის სამხედრო ნაწილები ერთხანს მაინც ცდილობდნენ მის ოკუპაციასა და დასაკუთრებას.

ეს თემა ჩვენს ისტორიოგრაფიაში ასე თუ ისე ასახულია, თუმცა ბევრი კონკრეტული ფაქტი და დეტალი კვლავ ბურუსით მოცული რჩებოდა. დაზუსტებას მოითხოვდა ბათუმისათვის ბრძოლაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო თუ პოლიტიკური მოღვაწეების, აჭარის ადგილობრივი რევკომის, საბჭოთა წითელი არმიის ნაწილების მონაწილეობის პრობლემა და სხვ. ერთი სიტყვით, საკითხი დღემდე მონოგრაფიულად შესწავლილი და დამუშავებული არ ყოფილა. გარდაცვლილი თვალსაჩინო ისტორიკოსის წინამდებარე ნაშრომის ცალკე წიგნად გამოცემა სწორედ ამით და კვლევის შემეცნებითი ღირებულებითაა განპირობებული. აღსანიშნავია, ისიც რომ ლევან თოიძის საყურადღებო გამოკვლევა იმ დროს იბეჭდება, როცა საქართველოს კვლავ უდგას თავისი მიწა-წყლის სოლიდური ნაწილის დეოკუპაციის, რუსეთის ფედერაციის ჯარის ნაწილებისაგან მისი გამოხსნისა და განთავისუფლების ამოცანა.

ნაშრომი დაწერილია პროფესორ ლევან თოიძისათვის დამახასიათებელ სტილში, დიდძალი პირველწყაროების

მოხმობით, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სრულიად ახალია. დამოწმებული დოკუმენტები და მასალები ავტორს რუსეთისა თუ საქართველოს სიძველეთსაცავებში სხვადასხვა წლებში მოუძიებია. არქივთაგან აღსანიშნავია უახლესი დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, პოლიტიკური პარტიების არქივი (ყოფილი „იმელის," შემდეგში პრეზიდენტის, დღეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი) და საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. განსაკუთრებით ფასეულია ამ უკანასკნელში დაცული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივი, რომელიც მიკროფირებზეა აღბეჭდილი და ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდის სახელწოდებითაა ცნობილი.

თავის ამ ბოლო გამოკვლევას ლევან თოიძე სიცოცხლის მიწურულს, თითქმის საწოლს მიჯაჭვული წერდა. ამით უნდა აიხსნას, რომ ტექსტში გამოყენებულ ზოგიერთ დოკუმენტს არ ახლდა სათანადო მითითება საარქივო ფონდსა და საქმეზე. ნაშრომის ამ სახით გამოქვეყნება ჩრდილს მიაყენებდა მის სამეცნიერო დონეს და გარკვეული უკმარისობის გრძნობას დატოვებდა. წიგნში ხსენებული ხარვეზი გსწორებულია.

ხელნაწერთან დაკავშირებით აუცილებლად მიგვაჩნია ზოგიერთი განმარტება: ტექსტი თეით ავტორის მიერ ბევრგან არის გადაშლილი, მაგრამ მთლიანობაში გარკვევით იკითხება. შიგვე არის ნასწორები სტილისტურად, ნაწილობრივ ფანქრით და ნაწილობრივ შავი ფერის პასტით, ასევე ავტორის ხელით. ზოგიერთ სიტყვას თავსე აწერია ვარიანტი თავდაპირველის გადაუხაზავად. რამდენიმე გვერდზე გვხვდება ავტორისავე შენიშვნა, რომელიც გატანილია არეზე. მაგალითად: „საიდან გაჩნდა თურქი ოფიცერი?" (გვ. 16). ორგან ავტორს მრავალი წერტილი დაუსვამს და ჩაუნიშნავს, რომ იქ საჭიროა სათანადო კომენტარი, მაგრამ ჩანს, ან დავიწყნია და ან ვეღარ მოუსწრია (გვ. 8, 13). თავს უფლება მივეცით, ეს კომენტარი ჩვენ გაგვეკეთებინა შესაბამისი აღნიშვნით. ერთ ფურცელზე (გვ. 28) ის-

რითაა მინიშნებული „აქ ჩავამატო კვინიტაძის წიგნიდან," მაგრამ ჩამატებული არ არის. გავითვალისწინეთ რა ავტორის სურვილი, ტექსტში ჩავსვით შერჩეული ამონაწერი გენერალ გიორგი კვინიტაძის მოგონებათა წიგნიდან, რომელიც 1999 წელს ქართულ ენაზეც ითარგმნა და გამოქვეყნდა, თუმცა მივუთითეთ პირველი, პარიზული რუსულენოვანი გამოცემის გვერდი, რადგან წინამდებარე ნაშრომში თვით ლევან თოიძეს სწორედ ამ გამოცემიდან აქვს სხვა დამოწმებებიც.

ციტატები ტექსტში გამოყენებული ლიტერატურიდან ძირითადად მოყვანილია დედნის ენაზე, მაგრამ გვხვდება გამონაკლისიც, რაც არ შეგვიცვლია.

რაც შეეხება ნაშრომის ტექნიკურ გაფორმებას: ავტორი იყენებს როგორც სქოლიოს, ისე წყაროს ან ლიტერატურის დასახელებას ტექსტშივე, მრგვალ ფრჩხილებში ჩასმით. ჩვენ საერთო წესი დავიცავით და ყველა დამოწმება სქოლიოში ჩავიტანეთ. ტექსტში ოთხკუთხა ფრჩხილებში მოვათავსეთ ავტორის მიერ ნასწორების სიტყვების ვარიანტები, ცხადია, სათანადო აღნიშვნით. ნაშრომს დავურთეთ წინათქმა, გამოყენებული ბიბლიოგრაფია, მოკლე კომენტარები და რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

P.S. ბათუმის დაცვა და შენარჩუნება ქართული მხედრობის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშით გადახდილი უკანასკნელი ბრძოლა იყო. ისე მოხდა, რომ ამ საკითხისადმი მიძღვნილი წინამდებარე ნაშრომიც პროფესორ ლევან თოიძისათვის უკანასკნელი გამოდგა...

ცნობილი ქართველი მსახიობის აკაკი ვასაძის მოგონებებში, რომლის ერთი ფრაგმენტი ბათუმის დაცვისათვის ბრძოლის ეპიზოდსაც ასახავს, ასეთი საგულისხმო დიალოგი გვხვდება. ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ ზემდეგი ეკითხება იმხანად მეტყვიამფრქვევე ჯარისკაცს აკაკი ვასაძეს:

„ – ვასაძე, ნასწავლი კაცი ხარ შენ და ამიხსენი ერთი, რა ვქენით ჩვენ დღეს? ...

— როგორ თუ რა ვქენით? ბათუმი გადაეურჩინეთ საბ-ჭობლოს! აი, რა ვქენით.

— მერე, ამისთვის მადლობას, ნეტავი, ვინ გვეუბნება?

—ვინც თავი დასდო ბრძოლის ველზე, ხვალინდელი დღე გვეტყვის მადლობას“ — უპასუხა აკაკი ვასაძემ (ა. ვასაძე, მოგონებები, ფიქრები, თბ., 1977, გვ. 109).

„ხვალინდელი დღე“ კარგა ხანია დადგა. რა თქმა უნდა, მადლობის ღირსია ყველა, ვინც წინ აღუდგა მოძალადეს და იარაღით ხელში წვლილი შეიტანა 1921 წელს თურქ ასკერთაგან ბათუმის განთავისუფლებაში. მაგრამ, მადლობა ეკუთვნის აგრეთვე ისტორიკოსსაც, რომელმაც გააცოცხლა, გააანალიზა და შთამომავლობას შემოუნახა ჩვენი ქვეყნის წარსულის თითქოსდა მივიწყებული ფურცლები. ეს ისტორიკოსი პროფესორი ლევან თოიძე გახლავთ, რომლის წიგნი ახლა თქვენს წინაშეა პატივცემულო მკითხველო.

ოთარ ჯანელიძე
ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

Levan Toidze

Fight for Batumi: March of 1921

Summary

Prominent Georgian historian professor Levan Toidze passed away in 1996. The work represents his last study preserved in personal archive of the scholar. The article deals with the last days of the Georgian Democratic Republic and depicts the liberation of Georgia's naval gate – port Batumi and its outskirts from Turkish Askers.

Toidze's book is based on documentary data, reconstructing the peripetia of the battle for Batumi, led from the Georgian side by General Mazniashvili. The work also describes the role and efforts of the Army of Georgian Democratic Republic, as well as of Bolshevik government body in Adjara – Revolutionary Committee and of local residents in the fight.

1921 წლის მარტის პირველი ნახევარი გასრულდა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მდგომარეობა კიდევ უფრო გამოუვალი გახდა. ამ დროისათვის წითელმა არმიამ თითქმის მთელი საქართველოს დაპყრობა მოასწრო. მართალია, თავდაპირველად ქართულ მხედრობას წითელი არმიისათვის უბრძოლველად ქართული მიწის არც ერთი გოჯიც არ დაუთმია, მაგრამ ომის მსვლელობაში თანდათან გამოიკვეთა, რომ რუსეთთან დამარცხება გარდაუვალი იყო და ქართული ჯარის წინააღმდეგობაც შესუსტდა. წითელი არმია უკვე ბათუმში შესაჭრელად ემზადებოდა...

ბათუმში რამდენიმე დღე გაურკვეველი მდგომარეობაა. ყველა გრძნობს, რომ ხელისუფლება იცვლება, დამოუკიდებლობა იკარგება. მაგრამ ბათუმი? ისიც იკარგება? ყველამ როდი იცის, თუ როგორ გადაწყდა მოსკოვში 16 მარტს ბათუმის ბედი. ამ დროს ხომ თურქეთის ჯარი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წაყრუებითა თუ ნებართვით ართვინის და არტაანის დაკავების შემდეგ ბათუმშიც იყო შემოსული. თურქი ასკერები თითქმის წითელი არმიის ნაწილების წინააღმდეგ საბრძოლველად შემოვიდნენ აჭარაში (დაპირება ასეთი იყო); მაგრამ მალე გამოირკვა, რომ მათ სისხლდაცლილ საქართველოზე ხელის მოთბობა, კერძოდ, ბათუმის მიტაცება სურდათ. მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის საკითხი ორი უცხო ქვეყნის მთავრობათა ბეჭედდასმულ ქაღალდზე უკვე გარკვეული და გადაწყვეტილი იყო, მშვიდობიანი გზით მის მოგვარებას საიმედო პირი არ უჩანდა. საბოლოო სიტ-

ქვა, რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოს, მაინც ხიშტს უნდა ეთქვა.

ცოტა რამ როდი იყო დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ პოზიციას დაიკავებდნენ იმ საბედისწერო დღეებში ქართული პოლიტიკური პარტიები, რომელთა ზღვარგადასულმა იდეოლოგიურმა დაპირისპირებამ ქვეყანას, ძირითადად, ზიანის მეტი ვერაფერი მოუტანა. მთავარი იყო, შეძლებდნენ თუ არა ისინი სამომავლო გაკვეთილების გამოტანას წარსულის შეცდომებისაგან, დაივიწყებდნენ თუ არა იდეოლოგიური დოგმების დაცვისათვის ბრძოლაში ერთმანეთისათვის მიყენებულ სამართლიან თუ უსამართლო წყენას და სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების მიზნით (ამ მოტივით მაინც) შეთანხმდებოდნენ ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებაზე (ერთეული გამონაკლისების გარდა ისინი ხომ ვერასოდეს ვერაფერში თანხმდებოდნენ). იმ კონკრეტულ ვითარებაში, გარკვეული მიზეზების გამო, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა „მიმავალი“ და „მომავალი“ მთავრობების, ქართველი სოციალ-დემოკრატი-მენშევიკებისა და ქართველი სოციალ-დემოკრატი-ბოლშევიკების პოზიციას.

და აი, 1921 წლის მარტის ტრაგიკულ დღეებში მოხდა ის, რაც ვერასგზით ვერ მოხერხდა 90-იანი წლების საქართველოში – „მიმავალმა“ და „მომავალმა“ მთავრობებმა საქართველოსათვის ბათუმის შენარჩუნების მიზნით ხელი მოაწერეს შეთანხმებას. მოლაპარაკება 17-18 მარტს გაიმართა ქ. ქუთაისში. ერთობლივ დოკუმენტს ხელი მოაწერეს საქართველოს რევკომის რწმუნებულმა მამია ორახელაშვილმა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებულმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ. მოლაპარაკება მიმდინარეობდა საბჭოთა რუსეთის (!) წარმომადგენლის აბელ ენუქიძის (!) თავმჯდომარეობით. მასში მონაწილეობდა აგრეთვე საბჭოთა რუსეთის მეორე წარმომადგენელი ალექსანდრე სვანიძე. ამრიგად, მოლაპარაკებაში მონაწილე სამივე მხარეს ქართველები წარმოადგენდნენ.

მხარეები შეთანხმდნენ: „1. მოხდეს დაუყოვნებლივ ლიკვიდაცია საომარი მოქმედებისა, 2. დემოკრატიული მთავრობა ხსნის თავის ფრონტს საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ, სცლის საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელიც მას უჭირავს და საშუალებას აძლევს რევოლუციური კომიტეტის განკარგულებაში მყოფ ჯარებს შევიდეს ბათუმის ოლქში მის დასაკავებლად და დასაცავად გარეშე მტრის შემოსევისაგან...“ იქვე გადაწყდა, და ეს მთავარია ამ მოლაპარაკებაში, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც უკვე ბათუმში იმყოფებოდა, სპეციალურად გამოგზავნიდა ცარიელ ვაგონებს, რომ რკინიგზით დაჩქრებულიყო წითელი არმიის ნაწილების შეყვანა ბათუმში.[1]

ამ შეთანხმების შეფასება შეიძლება არაერთგვაროვანი იყოს. ზოგი იმასაც იტყვის, მტრისთვის რკინიგზის ვაგონების გაგზავნა რა საკადრისიაო. ჩვენი აზრით, რუსეთთან ომში უკვე დამარხცებული და უცხოეთში გასაგზავნად გამზადებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, საქართველოსათვის ბათუმის შენარჩუნების ინტერესებიდან გამომდინარე, მხოლოდ ასე უნდა მოქცეულიყო.

დაიკარგებოდა უიმისოდ ბათუმი? ალბათ არა. საფიქრებელია, რუსეთი ყოველ ღონეს იხმარდა, რომ ბათუმი – ეს მნიშვნელოვანი სტრატეგიული ფორპოსტი – მის მიერ დაპყრობილი საქართველოს (ე.ი. ფაქტობრივად თვით რუსეთს) დარჩენოდა. ეს ხომ ასეც გაფორმდა რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებაში, რომელშიც ნათქვამია:

„Ст.2. Турция соглашается уступить Грузии сюзеренитет над портом и городом Батумом и территорией, лежащей к северу от границы, указанной в ст.I-й нынешнего договора, составляющей часть Батумского округа, при условии, что:

---

[1] საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (სუიცსა), ფ. 281, საქ. 168, ფურც. 12.

1) Население местностей, указанных в настоящей статье договора будет пользоваться широкой местной автономией в административном отношении, обеспечивающей каждой общине ее культурные и религиозные права, и что населению будет предоставлена возможность установить земельный закон, соответствующий его пожеланиям.

2) Турции будет предоставлен свободный транзит всяких товаров, отправляемых в Турцию или из нее, через Батумский порт, беспошлинно, без учинения каких-либо задержек, без обложения их какими бы то ни было сборами, с предоставлением Турции права пользоваться Батумским портом без взымания за это специальных сборов."[2]

ბათუმის საკითხის ასეთი გადაწყვეტით დიდად უკმაყოფილო არც ერთი მხარე არ უნდა დარჩენილიყო, თურქეთმა მეგობარ რუსეთს „დაუთმო" ბათუმი და მისი ოლქი (მართალია, ხელშეკრულებაში საქართველოზეა საუბარი და, რასაკვირველია, არა რუსეთზე, მაგრამ, ბუნებრივია, ორივე მხარემ კარგად იცოდა, თუ ფაქტობრივად ვის ხელში რჩებოდა ბათუმი). სამაგიეროდ, რუსეთის თანხმობით თურქეთმა დაიტოვა ართვინი და არტაანი. ხელშეკრულებაში ჩაიწერა, რომ ბათუმის ოლქს მიეცემოდა ფართო ადგილობრივი ავტონომია (ავტონომიის ფორმა არ იყო დაკონკრეტებული) და მოსახლეობას ექნებოდა საშუალება მიეღო მისთვის სასურველი მიწის კანონი.

შეიძლება ითქვას, რომ თურქეთი ბათუმის „დათმობით" ბევრს [თავდაპირველად ეწერა – თითქმის] არაფერს კარგავდა, რადგან მას დარჩა ბათუმის პორტით ნებისმიერი საქონლის დაუყოვნებელი ტრანზიტის უფლება ყოველგვარი საბაჟო გადასახადის (დაბეგვრის) გარეშე.

უკმაყოფილებისათის საფუძველი საქართველოს, რასაკვირველია, უფრო მეტი ჰქონდა, რადგან არტაანი და ართვინი ჩამოაჭრეს, ხოლო 16 მარტის ხელშეკრულებით, როგორც ჩანს, ბათუმის ბედიც არ იყო საბოლოოდ გადაწ-

---

[2] Сборник действующих договоров, соглашений и конвенций, заключенных РСФСР с иностранными государствами. Вып.II. Договора, вступившие в силу по 1/XII-21 г. М., 1921,стр. 73.

ყველილი, თუმცა ბათუმის საკითხში რუსეთისა და საქართველოს ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა და აღნიშნული ხელშეკრულებით, როგორც ვნახეთ, ბათუმზე სიუზერენობას თურქეთი საქართველოს უთმობდა.

მაგრამ რას ნიშნავდა ის, რომ 16 მარტის ხელშეკრულების შემდეგ თურქი ასკერები ბათუმიდან კი არ გადიან, არამედ, პირიქით, პოზიციებს იძლიერებენ? ყოველივე ამაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, რომელმაც სავარაუდოა, ჯერ არც კი იცოდა 16 მარტის მოლაპარაკების შესახებ, რუსეთისა და თურქეთის ხრიკებიც შეეძლო დაენახა. რუსეთი ხომ მაშინ აშკარად ეხმარებოდა ქემალისტურ თურქეთს საბერძნეთის წინააღმდეგ ომში. კაცმა არ იცოდა, რუსეთ-თურქეთის გარიგება რა სახეს მიიღებდა. იქნებ რუსეთს დაეთმო კიდეც ბათუმი თურქეთისათვის. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა კი ბათუმის საკითხს სათუოზე ვერ დატოვებდა. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ბათუმში თურქი ასკერების შემოსვლაზე პასუხისმგებლობაც ხომ მას ეკისრებოდა. კიდევ ერთი მომენტი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, საზღვარგარეთ გახიზვნის წინ, თურქეთის აღმოსავლეთის ფრონტის სარდალმა ქიაზიმ კარა-ბექირ ფაშამ ბათუმში ჯარის ახალი ნაწილების შეყვანის ნებართვა მოსთხოვა. საქართველოს მთავრობამ გადაჭრით არ უარყო თურქეთის სარდლობის ეს წინადადება, რამაც სხვადასხვა მითქმა-მოთქმის საფუძველი შექმნა. არც ისაა გამორიცხული, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას იმ მომენტში სხვა მიზნებიც ამოძრავებდა. ამ მხრივ საინტერესოა აზრი საბჭოთა ლიდერებისა, კერძოდ, სერგო ორჯონიკიძისა, რომელიც იმ დღეებში შალვა ელიავას აცნობებდა: „საეჭვოა, შესაძლებელია, რომ მათ (იგულისხმება მენშევიკები, — ლ.თ.) სურთ ხელოვნურად გამოიწვიონ ომი ჩვენსა (იგულ-

ისხმება რუსეთი, – ლ.თ.) და თურქებს შორის. ამ პროვოკაციას არ უნდა აჰყვეთ."[3]

ნამდვილად დასაშვებია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა წითელი არმიის წინააღმდეგ საბრძოლველად, ყველა პლიუს-მინუსის გათვლის შემდეგ, თურქეთის ჯარსაც მოიხმობდა, ყოველ შემთხვევაში, იფიქრებდა ამაზე. ის უარს არ იტყოდა უცხო ჯარის გამოყენებაზე (მით უმეტეს, როცა წინადადება უცხო ჯარისაგან მოდიოდა), თუ დამარცხების თავიდან აცილების გარანტია, ან მცირე შანსი მაინც გაჩნდებოდა. ამდენად არც რუსეთზე თურქეთის წასისიანება იყო გამორიცხული (თუნდაც გარკვეული ტერიტორიული დათმობის დაპირებით).

ასეა თუ ისე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ უცხოეთში გახიზვნის წინადღეს ბათუმის საკითხში სწორი გადაწყვეტილება მიიღო. შეუთანხმდა ბოლშევიკურ მთავრობას, განეხორციელებინათ ერთობლივი სამხედრო ღონისძიებანი ბათუმის შესანარჩუნებლად. იმ მომენტში მთავარი იყო თურქებს არ მისცემოდათ საშუალება საბოლოოდ დაპატრონებოდნენ ბათუმს და შემდეგ მეგობარ რუსეთთან ახალი ომაჭრობა გაემართათ. ომაჭრობისათვის საბაბის გამონახვა კი თურქეთს არ „გაუჭირდებოდა". იგი ერთხელ კიდევ შეეცდებოდა გამოეყენებინა ისტორიზმის მისებურად გაგებული პრინციპი (აჭარა საუკუნეების მანძილზე თურქეთის მფლობელობაში იყო). გარდა ამისა, ცნობილია, რომ თურქეთი ახერხებდა აჭარის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის „მხარდაჭერის" ინსპირირებას. მით უმეტეს, რომ 1921 წლის მარტში ლაზ გლეხთა ნაწილი მართლაც წამოეგო თურქი პროპაგანტისტების ანკესს და დეზინფორმაციის წყალობით მართლაც უჭერდა მხარს თურქეთს.[4]

---

[3] უახლესი დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 85, ანაწ. 15, საქ. 176, ფურც. 8.

[4] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14. ანაწ. 4, საქ. 13, ფურც. 154.

ცოტა რამ წინაისტორიიდან. გავიხსენოთ ზოგიერთი ფაქტი 16-18 მარტის ამბებს რომ უსწრებდა წინ. დავიწყოთ 1920 წლის იულისით, როცა ინგლისელებმა დატოვეს აჭარა და ბათუმში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარი შევიდა, რამაც თურქეთის მთავრობის უკმაყოფილება გამოიწვია. მისი აზრით, ეს ეწინააღმდეგებოდა ბრესტ-ლიტოვსკისა და ტრაპიზონის ხელშეკრულებებს. საქართველოს მიერ ბათუმის დაკავების გამო თურქეთის მთავრობამ 1920 წლის 25 იულისს პროტესტი გამოთქვა. თურქეთში საქართველოს ელჩთან დაიწყო მოლაპარაკება 1921 წლის თურქეთ-საქართველოს ახალი ხელშეკრულების დასადებად. 1921 წლის თებერვალში თურქეთმა „კატეგორიული ულტიმატუმით" მოითხოვა, რომ საქართველოს ჯარს დაეტოვებინა არტაანი, ყარსი და ბათუმი. ულტიმატუმის შემდეგ საქართველოს მთავარსარდალმა 20 თებერვალს გასცა ბრძანება არტაანსა და ართვინიდან ქართული ჯარის გამოყვანის შესახებ. არდაგანი და ართვინი ქართულმა ჯარმა 23 თებერვალს დატოვა, თურქეთის ჯარი კი ამ ოლქებში 7 მარტს შევიდა. 17 მარტს თურქეთის ჯარი ბათუმს მოადგა. დაინიშნა ბათუმის „ვალი", რომელმაც ბათუმი „დედა-სამშობლოსთან (თურქეთთან) შეერთებულად გამოაცხადა. 18-19 მარტს თურქი ასკერები ბათუმში გამოჩნდნენ. თურქეთის მაშინდელი ხელმძღვანელის მუსტაფა ქემალის ცნობით, არდაგანის, ართვინისა და ბათუმის დაკავება „произошло при приветствии населени с нетерпением ожидавшего своего присоединения к Турции. В последствии, согласно Московскому договору, Батум был нами эвакуирован. Но присоединение к нашей родине других оккупированных районов было этим договором подтверждено."[5]

მუსტაფა ქემალის* წიგნში „ახალი თურქეთის გზა" დამოწმებულია სხვა თურქი ავტორებიც, რომლებიც გადმოსცემენ თურქულ ისტორიოგრაფიაში ჩვენთვის საინტერესო საკითხზე 30-იან წლებში გაბატონებულ შეხედულებებს. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ჯევდეთ ქერიმის

---

[5] М.Кемаль. Путь новой Турции. Т.III, М., 1934, стр. 119.

წიგნი „ლექციები თურქეთის ომზე დამოუკიდებულებისათვის", რომელშიც ლაპარაკია საქართველო-თურქეთის ურთიერთობაზე 1921 წლის თებერვალში, როცა წითელი არმია საქართველოს დაპყრობისათვის იბრძდა და თურქეთში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩად სიმონ მდივანი მუშაობდა.

ჯევდეთ ქერიმი წერს: „Как только начались военные операции русских, наше правительство стало официально декларировать свои требования. Мдивани все время вел политику оттяжек, заявляя, что он не имеет ответа от своего правительства и т.п. Наконец 23 февраля 1921 года министр иностранных дел[6] Мухтар Бей вручил г-ну Мдивани следующую ноту: „В ноте, которую я имел честь вчера Вам вручить, я сообщил, что если сегодня мной не будет получено от Вашего правительства ответа, содержащего согласие на занятие нами Ардаганского синджака Грузинской республики, состоящего из Ардаган и Артвин, то будем вынуждены предпринять военные меры, необходимые для того, чтобы обеспечить проведение в жизнь возвращения.[7] Теперь полночь, а необходимого положительного ответа я еще не получил. Поэтому я должен сообщить Вам, что главнокомандующий нашим восточным фронтом получил директивы обеспечить возвращение родине указанных территорий..."[8]

იგივე ავტორი მიუთითებს: ელჩმა სიმონ მდივანმა თურქეთის მთავრობას შეატყობინა შინაარსი თბილისიდან 23 თებერვალს მიღებული დეპეშისა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საქართველო აკმაყოფილებს თურქეთის მოთხოვნებს და 23 თებერვალს იწყებს ართვინისა და არტაანის ევაკუაციას. „А между тем, – განაგრძობს ქერიმი, – наши части, двинувшиеся с утра 23-го февраля, уже водрузили турецкий флаг над Ардаганом, а затем Артвином"[9].

---

[6] უნდა იყოს მინისტრის მოადგილე (იხ. მუსტაფა ქემალის დასახ. წიგნი, გვ.108).

[7] იგულისხმება არტაანისა და ართვინის დაბრუნება.

[8] მუსტაფა ქემალის დასახ. წიგნი, გვ. 108-112.

[9] იქვე.

ახლა მოვიყვანოთ ერთი ადგილი პროფესორ მ. ჯემილის წიგნიდან „ლოზანა“ (გამოვიდა ანკარაში 1933 წელს), რომელიც დამოწმებულია იმავე მუსტაფა ქემალის დასახელებულ წიგნში. მ. ჯემილი წერს: „В Мудросском перемирии был пункт о том, что англичане оккупируют Батум. В декабре 1918 г. англичане высадили там своих солдат и оккупировали город. В Батуме они организовали местное управление. Карс и Ардаган были переданы ими армянам. Оставляя через два года эти районы, в которые они вошли неизвестено по каким причинам, англичане подарили эти районы армянскому и грузинскому государствам. Этот поступок был в полном соответствии с их принципом: «разделяй, чтобы властвовать.”[10]

და კიდევ ერთი ცნობა. მ. ჯემილი აღნიშნავს, რომ როცა რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულება გააცნეს თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას: „Из всех депутатов ВНСТ только один выступал с критикой турецкого правительства за отказ от претензий на Батум.”[11]

მაშასადამე, მუსტაფა ქემალი მის წიგნში დამოწმებული სხვა თურქი ავტორები არაფერს ამბობენ საქართველოს ხარჯზე რუსეთსა და თურქეთს შორის იმ დროს არსებულ რამე საიდუმლო გარიგებაზე. ეს ალბათ ბუნებრივიცაა. ასევე ბუნებრივია, ალბათ ისიც, რომ ავტორები არც საქართველო-თურქეთის რაიმე ანტირუსულ გარიგებაზე მოგვითხრობენ. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ასეთი გარიგებები საერთოდ არ ყოფილა (ამას შემდგომი კვლევა-ძიება კიდევ უფრო დააზუსტებს). ბათუმზე, ყარსზე და არტაანზე თავის პრეტენზიებს თურქეთი ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების სათანადო მუხლით ასაბუთებდა. აქედან გამომდინარე, თურქეთმა პროტესტი გამოთქვა ინგლისელების წასვლის შემდეგ საქართველოს ჯარის მიერ ბათუმის დაკავების გამო. თურქი ავტორი გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამოც, რომ ინგლისელებმა ყარსი და არტაანი თავის დროზე სომხეთსა და საქართველოს გადასცეს. ამ აქციას იგი, როგორც ვნახეთ, ინგლისელების

---

[10] მუსტაფა ქემალის დასახ. წიგნი, გვ. 233-244.
[11] იქვე, გვ. 234.

მიერ ცნობილი იმპერიული პრინციპის „დაპყავი და იბატონეს“ რეალიზციად მიიიჩნევს. ავტორები აღიარებენ, რომ თურქეთი ულტიმატურ მოთხოვნებს უყენებდა საქართველოს სადავო ტერიტორიიდან ქართული ჯარის გაყვანის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში თურქეთი საქართველოს მიმართ სამხედრო ოპერაციების წამოწყებით იმუქრებოდა. საქარათველო იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა თურქეთის ტერიტორიული პრეტენზიები. თურქი ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ აჭარის მოსახლეობას თურქეთთან შეერთება სურდა და თითქოს იგი მისალმებით ხვდებოდა თურქეთის ჯარს და ა.შ.

საქართველო-თურქეთის ამ დროინდელი ურთიერთობის შესახებ საინტერესო ცნობებს შეიცავს თურქეთში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩის სიმონ მდივნის მიმოწერა თბილისთან. 1921 წლის 8 თებერვალს იგი ატყობინებდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ შეხვდა მუსტაფა ქემალს, რომელიც „შეეხო ჩვენთვის საინტერესო ყველა საკითხს“ და ეს საკითხები მან „დამაკმაყოფილებლად განმარტა“. ელჩი დასძენდა, რომ მოლაპარაკებას საზღვრების შესახებ მალე შეუდგებოდა.

ეს დოკუმენტი რუსეთ-საქართველოს ომის დაწყების 3 დღით ადრეა გამოგზავნილი. ომის დაწყების შემდეგ (19 თებერვალს) გამოგზავნილ წერილში სიმონ მდივანი აღნიშნავს, რომ საქართველო-თურქეთის ურთიერთობაში აშკარა ცვლილებები ხდება. „საბუთი მაქვს ვიფიქრო, — წერს იგი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, — რომ ქიაზიმ-ბეიმ* დაარწმუნა ანგორა, რომ საქართველო იძულებულია ყოველ დათმობაზე წავიდეს. მისი ტელეგრამის შემდეგ შეიტანეს ცვლილებები. გაფრთხილდით. საუბედუროდ, კავკასიის ორიენტაციის პარტია ამჟამად ძლიერ სუსტია, ვიანიდან მათი ლიდერი ბექირ-სამი ბეი ლონდონს არის. მოლაპარაკება საზღვრების შესახებ უნდა გადაიდოს ლონდონის მუშაობის გაჩაღებამდე. ამ წუთში მდგომარეობა აქ ისეთია, რომ მათთან რაიმე საქმის დაბოლოება ყოვლად შეუძლებელია. მათი აზრი ლონდონსა და მოს-

კოეს შუა არის გაბნეული. ჯერაც არ აქვთ გადაჭრილი, ვისთან რა კავშირი დაიკავონ. თუ ლოდინი ჩვენთვის როგორმე შესაძლებელია რამდენიმე კვირით, საქმე ისე დასრულდება, როგორც ჩვენთვის სასურველია."[12]

დოკუმენტში კონკრეტულად არაა აღნიშნული, თუ რა სახის ცვლილებები შეიტანა თურქეთის მთავრობამ საქართველოსთან ურთიერთობაში, მაგრამ ელჩი დარწმუნებულია, რომ თურქეთის მთავრობა ორჭოფულ მდგომარეობაშია და ფიქრობს არჩევანზე მოსკოვსა და ლონდონს შორის, ელოდება ლონდონის კონფერენციას, აგრეთვე რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებს. და ეს ყველაფერი, ბუნებრივია. ბუნებრივი იყო ისიც, რომ საქართველოც იძულებული გახდა ფეხი აეწყო დიდი პოლიტიკისათვის და აქ რაიმე სერიოზული შეცდომა არ მოსვლოდათ. ვაი, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

ყველაფერი უცნაური ჩვენთან უნდა მოხდეს, ვერ დავიჟინებთ, მაგრამ ალბათ სხვაგან არსად მოიძებნება მსგავსი მაგალითი, როცა ორი ძმა ერთსა და იმავე ქვეყანაში სხვადასხვა ქვეყნის, თანაც ერომანეთთან მეომარი ქვეყნების, ელჩებად მუშაობდნენ. სწორედ ასეთი ბედი ხვდა წილად ორ ქართველ დიპლომატს, ორ ძმას სიმონ და ბუდუ მდივნებს. სიმონ მდივანი, როგორც ვიცით, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას წარმოადგენდა თურქეთში, ბუდუ მდივანი* კი, საბჭოთა რუსეთს. დამაფიქრებელია და ცალკე შესასწავლი ამ ორი ელჩისა და ორი ძმის ურთიერთობა 1921 წლის იმ ტრაგიკულ დღეებში.

„რუსეთის აქაური ელჩი, რომელიც პირადად არ მინახავს, — წერს სიმონ მდივანი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას 1921 წლის 22 თებერვალს, — მითვლის: თუ საქართველოს მთავრობა ამ ომს არ მისცემს რუსეთთან ომის ხასიათს და პრესა კინკლაობას არ დაიწყებს, ადგილობრივ ბოლშევიკებს დიდად არ შევაეიწ-

---

[12] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა), ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდის მიკროფილმები, საქ. № 388.

როვებთ და რუსების ტყვეებს კარგად მოეპყრობით, რუსეთი არა თუ ომს არ გამოუცხადებს, პირიქით, ახლა უფრო უკეთეს ზავის პირობებს მიიღებს. თვით საქართველოს მთავრობამ დაიწყოს მოლაპარაკება ამ ომის ლიკვიდაციის შესახებ და მე აქედან დავეხმარებიო. თუ მას არა სურს დაწყება, მაშინ მე შემიძლია აქედან დავიწყო. ოსმალეთსაც ვაიძულებთ ბათუმს და ართვინს ხელი არ ახლოსო. მომეცით დირექტივები."[13]

დიდ კომენტარს თავს ავარიდებთ. ერთს ვიკითხათ მხოლოდ. ბუდუ მდივანს გულწრფელად სჯეროდა, რასაც ის რუსეთის სახელით უთვლიდა საკუთარ ძმას? სიმონ მდივანს ნოე ჟორდანიასადმი გაგზავნილ წერილში თითქოს ერიდებაო საკუთარი ძმის – მიწინააღმდეგე ქვეყნის ელჩის – სახელისა და გვარის მოხსენიება. სულ მალე ბუდუ მდივანი, რომელიც საბჭოთა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე გახდება, თავს გამოიჩენს, როგორც საქართველოს საბჭოური სუვერენიტეტის შეზღუდვის წინააღმდეგ მებრძოლი და ქართული „ნაციონალ-უკლონისტების" ერთ-ერთი ლიდერი. ვინ იცის, ორ ძმას, ორ ელჩს მეტი მონდომება რომ გამოეჩინათ, იქნებ მოეხერხებინათ საქართველოსათვის უკეთესი გამოსავალის გამოძებნა ამ ომში (იქნებ მოინდომეს კიდეც და სხვადასხვა მიზეზების გამო ჩანაფიქრი ბოლომდე ვერ განახორციელეს?).

1921 წლის 22 თებერვალს ნოე ჟორდანია ასეთ დეპეშას გზავნის თურქეთში: „დღეს 22 თებერვალს ანგორის მთავრობისაგან მივიღეთ ნოტა, რომლითაც გვაცნობებენ, რომ ხვალ 23 თებერვალს იჭერენ არდაგანისა და ართვინის ოლქებს. ჩვენ ახლა წინააღმდეგობას ვერ გაუწევთ, ფაქტიურად შემოეუშვებთ, ხოლო ხელს არ მოეუწერთ. გეეშინია ბათუმი და ახალციხეც არ დაიკავონ. წარადგინეთ დასაბუთებული პროტესტი ანგორის ასეთი ვერაგული მოქმედების წინააღმდეგ ლონდონის კონფერენციის წინაშე. ჟორდანია."[14] ეს დეპეშა კონსულმა გოგოლაშვილმა მი-

---

[13] სცსსა, ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდი, საქ. № 386.
[14] იქვე, საქ. № 738.

იღო 24 თებერვალს და იმავე დღეს გადასცა სიმონ მდივანს. არ ვიცით, რა შინაარსის პროტესტი გაეგზავნა (ან გაეგზავნა კი საერთოდ?) ლონდონის კონფერენციას, მაგრამ შესაძლოა სწორედ ამ „დასაბუთებულ პროტესტზე" იყოს საუბარი, არქივში დაცულ 25 თებერვალს უადრესატო წერილში, რომელშიც ავტორის ვინაობაც არ არის მითითებული, თუმცა უეჭველია, რომ იგი სიმონ მდივანს ეკუთვნის: „გუშინ ტელეგრამა გავაგზავნე, რომელშიც აღნიშნულია მათი ორმაგი მოქმედება. ხელი შეუწყეთ ისე, რომ ვერ გაიგოს, რომ თქვენ ეს იცით. დანარჩენ ზომებს ველებულობთ. მომაწოდეთ ცნობები ფრონტის შესახებ."[15]

თურქეთის ხელისუფლებამ შესანიშნავად იცოდა, რომ ალოვინისა და არტაანის ინციდენტის გამო, საქართველოს მთავრობა თურქეთით კმაყოფილი ვერ იქნებოდა. ამიტომ იგი ცდილობდა თავი ისე მოეჩვენებინა (რას კარგავდა!), რომ საქართველოს მთავრობას ეჭვი არ შეპარვოდა მის ერთგულებაში(?!) და თურქეთთან ახალ კონფრონტაციაზე არ წასულიყო იგი. „გუშინ ჩემთან იყო ორი მინისტრი თავისი ინიციატივით. უკანასკნელმა ამბებმა ხელი არ უნდა შეგვიშალოს საბოლოო მიზნების განხორციელებაში, იძულებული ვიყავით ასე მოექცეულიყავითო. ახლო მომავალში ადვილად შეეთანხმებითო. ოღონდ საჭირო იქნება ართვინის ოლქის მცხოვრებთა რეფერენდუმის ცნობაო. მთხოვეს ქიაზიმ-ბეისთან და ქიაზიმ-ფაშასთან დამოკიდებულებას თქვენი მთავრობა ნუ წაახდენსო" – წერდა 26 თებერვალს სიმონ მდივანი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს.[16]

შემდეგდროინდელი წერილებიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სიმონ მდივანს თითქოს მართლაც სჯერა საქართველოს მიმართ თურქეთის კეთილი განწყობისა... იმავე 26 თებერვალს სიმონ მდივანი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ატყობინებდა: „დღეს იყო ჩემთან ქემალ-ფაშა, დიდხანს ვითათბირეთ. მთხოვა დავარ-

---

[15] სცსსა, ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდი, საქ. № 386.
[16] იქვე.

წმუნო ჩემი მთავრობა, რომ დაუყოვნებლივ გასცეს ბრძანება, რათა სრული სიწყნარე იყოს ხოფასა და არდაგანის მხარეებში. თუ იყო რამე, ალბათ გამოხმაურება იყო წარსული საქმეებისაო. ჯარი არდაგანშიც არ შეგვიყვანიაო, საქართველო ეცადოს იქ, სადაც ფრონტი აქვს, ჩვენი მხრით უშიშრად იყოსო. გავახსენე ართვინის ოლქი. მითხრა, ამაშიც მოვრიგდებითო. რუსეთის ელჩი ჯერ ოფიციალურად არ მიუღია. როგორც გწერდით, ლონდონის ამბები აცვლევინებთ ამათ პოზიციას ჩვენს სასარგებლოდ."[17]

ქემალ ფაშა თვითონ ეახლა საქართველოს ელჩს? ეს უსათუოდ დასაფასებელი და მნიშვნელოვანი ფაქტია. ქემალ-ფაშა ეს იგივე მუსტაფა ქემალია, ეს იგივე ათათურქია – თურქეთის მთავრობის მეთაური.

თურქეთის ხელისუფლება დიდ ინტერესს იჩენდა 1921 წლის თებერვალ-მარტში ლონდონში მიმდინარე კონფერენციისადმი, რომელშიც მონაწილეობდნენ ანტანტის ქვეყნები და იმ დროს საბერძნეთთან მეომარი თურქეთი. ეს უკანასკნელი, ბუნებრივია, ცდილობდა მიეღწია მისთვის ხელსაყრელი საზავო ხელშეკრულებისაოვის. სიმონ მდივანთან მუსტაფა ქემალის საუბარი, როგორც ჩანს, ამ საკითხსაც ეხებოდა. საქართველოს წარმომადგენლის აზრით, ლონდონის კონფერენციის შედეგებზე ბევრად იყო დამოკიდებული თურქეთის მომავალი საგარეო პოლიტიკა, კერძოდ მისი ურთიერთობა საქართველოსთან. 27 თებერვალს იგი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ატყობინებდ: „სანამ ლონდონში ამბავი გათავებული არაა, გულახდილად ვერ იმოქმედებენ, გთხოვენ, რასაც გწერთ, დიდ საიდუმლოდ შეინახოთ.

საჭიროა, თქვენც მისწეროთ შიფრით ლონდონში ჩვენს წარმომადგენელს, დაეხმარონ ამათ წარმომადგენელს საქმის მალე დასამთავრებლად, რომ ამათ ხელი გაეხსნათ. დღესვე ბრძანება გაცემულა წაიწიოს ჯარმა რკინიგზის პირველი სადგურისაკენ მტკვრის გადაღმა. იქნება აგრეთვე იქითკენ აგენტები გაგზავნილი. იმედი აქვთ არ

---

[17] სცსსა, ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდი, საქ. № 386.

დაკარგავთ სულიერ სიმტკიცეს და არ დანებდებით მტერს. ლონდონიდან ამბის მიღების შემდეგ, რასაც ერთ კვირაში ელიან, აშკარად გადავლენ და მოკლე დროში სრულ ლიკვიდაციას მოუხდენენ. ჩემი აზრით, საჭიროა, თქვენც გაგზავნოთ იქითკენ აგენტები ასაჯანყებლად."[18]

თურქეთის პოლიტიკურ წრეებთან, კერძოდ, სახელმწიფოს მეთაურთან, მუსტაფა ქემალთან საუბრებმა საქართველოს ელჩი, როგორც ჩანს, დაარწმუნეს, რომ თურქეთს გულწრფელად სურს დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს. ამაზე მიგვანიშნებს მისი 1921 წლის 2 მარტის შემდეგი წერილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისადმი: „ოსმალეთის ჯარი უკვე დაიძრა კარაკლისისაკენ, როდესაც ეს ჯარი დაიკავებს (ქალაქს ?) მაშინ მოელიან აჯანყებას ... აზერბაიჯანში. ჩიჩერინს გაუგზავნეს ნოტა, სადაც სთხოვენ განმარტებას, თუ რატომ ესხმის თავს საქართველოს წითელი ჯარი და აფრთხილებენ, თუ მუსლიმანთა სოფლები დაარბიეს, ანგორა ამ ამბავს გულგრილად ვერ შეხვდება. დღეს ნოტით ვაცნობებთ ანგორას, რომ ბოლშევიკთა ჯარმა დაარბია აღმ. საქართველო და განსაკუთრებით მუსლიმანთა სოფლები. ანგორა ამ ამბავს გულგრილად ვერ შეხვდება... სანამ ოსმალეთი აშკარად გამოსვლას შესძლებდეს, დაუინებით თხოულობენ მცხეთის პოზიციები არ დათმოთ, რათა კავკავის გზა ხელში არ ჩაუგდოთ."[19]

ასეთივე განწყობით არის შედგენილი სიმონ მდივნის 1921 წლის 6 მარტის წერილი საქართველოს საგარეო მინისტრისადმი: „მთელ ღონეს ვღებულობთ ანგორის ჩასარევად, მაგრამ საუბედუროდ, თქვენ საჭირო ცნობებს არ მაწვდით. შემთხვევით გავიგე ჩემი მგზავრობის დროს (ერთი თვის წინათ) ანგორის მთავრობას ნოტა გამოუგზავნია თქვენთვის და უთხოვნია – სურს თუ არა საქართველოს მოსკოვის კონფერენციაში მონაწილეობა მიიღოსო. პასუხი არც ამათ მიუღიათ და არც ჩემთვის არავის არაფერი შე-

---

[18] იქვე.

[19] სცსსა, ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდი, საქ. № 386.

უტყობინებია. ხვალ ნოტის პირს მოვსთხოვ და ვუპასუხებ, რომ საქართველო წინააღმდეგი არაა ომის მაგიერ კონფერენციაზე გადაწყდეს სადავო საკითხები. ... ანგორის მთავრობა კიდევ ერთხელ გთხოვთ სულიერი სიმტკიცე არ დაკარგოთ ლონდონის კონფერენციის გათავებამდე, რომელიც მოკლე დროში უნდა მოხდეს."[20]

„Вступив в свою должность, я заметил в штабе двух турецких офицеров: один был Кязим-бей, другой его адъютант Талаат-бей. Я спросил начальника штаба ген. Закариадзе, что это значит. Он ответил, что они все время в штабе и по прямому проводу переговариваются с Ангорой, где наш представитель Мдивани ведет переговоры с Кемал-пашой, в дальнейшем выяснилось, что Кязим-бей все время посылает в Ангору шифрованные телеграммы и на турецком языке. Я немедленно приказал это прекратить и передать этому господину пользоваться аппаратом в течение одного часа, не посылать никаких шифрованных телеграмм и чтобы при его переговорах присутствовал офицер, знающий турецкий язык."[21]

თურქი დიპლომატების ორმაგ თამაშზე სხვა წყაროებიც მიგვანიშნებენ. ძნელია იმის თქმა (ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით), თუ როგორ აფასებდა ყოველივე ამას, ან საერთოდ იღებდა თუ არა რაიმე გადამჭრელ ზომებს მსგავს მოვლენათა აღსაკვეთად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. მაგრამ ის აშკარაა, რომ თურქეთში საქართველოს წარმომადგენელი თვით 18 მარტამდეც კი გარკვეულ იმედებს ამყარებდა თურქეთის დახმარებაზე. 2 მარტით დათარიღებულ ერთ-ერთ წერილში ნათქვამია: „ანგორის მთავრობა შეეცადა ჩარევას და მოსთხოვა მოსკოვს ომის შეწყვეტა, მაგრამ პასუხი არაა. ჩვენებმა მიმართეს ანგორას დახმარებისათვის. მათ წამოაყენეს პირობად არტაანისა და ართვინის ოლქების გადაცემა. მთავრობა დათანხმდა როგორც საშუალებად... ამის შემდეგ მოითხოვეს პლებისციტი. ჩვენებმა უარი უთ-

---

[20] სცსსა, ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდი, საქ. № 386.

[21] Генерал Г.И.Квинитадзе. Мои воспоминания в годы независимости (Грузия 1917-1921. Париж, 1985, стр. 277.

ხრეს“ (ეს წერილი ალბათ სიმონ მდივანმა აკაკი ჩხენკელს გაუგზავნა, – ლ. თ.)

4 მარტს ასეთი წერილი იგზავნება (გეგეჭკორის ?): „სარდლობის ბრძანებით ჯარმა დაიხია სურამის უღელტეხილზე და იქ გამაგრდა... ბრძოლას ვაგრძელებთ, იმედი გვაქვს მდგომარეობა გამოვასწოროთ. მხოლოდ უნდა მიიღოთ ყოველნაირი ზომები ანგორას ჩასარეკად, მარტო საკუთარი ძალებით საქართველო ვერ შესძლებს მოსკოვის გამკლავებას. დაარწმუნეთ ანგორა, რომ დაცდის პოლიტიკას შეუძლია მისი ანგარიშები დაფუშოს.”

საქართველოს პოლიტიკურ წრეებს კარგად ესმოდათ, რომ მომავალი ეკონომიკური თუ პოლიტიკური განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპის ქვეყნების დამოკიდებულებას საქართველოსადმი. ამისათვის კი აუცილებელი იყო მათი სისტემატური ინფორმირება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ამ მიზნით სპეციალურად მიავლინა ევროპაში თავისი წარმომადგენელი – აკაკი ჩხენკელი. აი, ამ აკაკი ჩხენკელს 1921 წლის 18 მარტს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას საქართველოში ყოფნის ბოლო დღეს, სიმონ მდივანი ატყობინებს:

„ჩვენი მდგომარეობა კვლავ კრიტიკულია. თურქები მზად არიან დაიწყონ ჩვენთან შეთანხმებით ... ჩვენი სასარგებლო პოლიტიკა კავკასიაში, ხოლო ომი, რომელიც მათ აქვთ სამხრეთით და დასავლეთით, უნდა დასრულდეს, მანამ კი მათ არ აქვთ საშუალება ჩრდილოეთით ახალი ფრონტი გააჩაღონ... სრული დარწმუნებული ვარ, თუ საფრანგეთი შეუთახმდება ოსმალეთს და მას მეგობრად იგულებს, ოსმალეთი დაუყოვნებლივ დაიწყებს მოქმედებას კავკასიიდან რუსების გასადევნად. ეს კი სასარგებლო იქნება ჩვენთვის, ისევე როგორც კავკასიის მომავალი კონფედერაციისათვის. გარდა ამისა, საფრანგეთს აქვს საშუალება ოსმალეთის შემწეობით ინგლისზედაც იქონიოს გავლენა. აქ ელოდნენ, რომ საფრანგეთთან უფრო ადვილად 'შეთანხმდებოდნენ, ვიდრე ინგლისთან, ნამდვილად კი საწინააღმდეგო (ვითარებაა). ეს უკანასკნელი გარემოება

ძლიერ ამაგრებს ოსმალეთის სურვილს საფრანგეთთან დაკავშირებისა, რომლისათვისაც ოსმალეთი დღეს მზად არის. ასეთ შემთხვევას საფრანგეთი მეორეს ვეღარ ი'შოვ-ის. ისიც შესაძლებელია, რომ ინგლისმა დაასწროს ოსმალეთთან კავშირის შეკვრა. ამიტომ საჭიროა დაუყოვნებ-ლივ ინახულო ბრიანი* და აუხსნა ყოველივე წერილმა-ნებს ნუ შესწირავს დიდ პოლიტიკას... დაყოვნება ამ საქმი-სა ჩვენთვის უბედურებაა."[22]

მაშინ, როცა წითელი არმიის ნაწილებსა და საქარ-თველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარებს შორის ბრძოლები მიმდინარეობდა სურამთან და მდ. კოდორზე, საქართველოს მთავრობა სიმონ მდივანს აცნობებს თურ-ქეთთან შეთანხმების ორ პუნქტს:

პირველი – „საქ. მთავრობა აძლევს ანგორის მთავ-რობას შემდეგ წინადადებას: დაუყოვნებლივ მოახდინონ სამხედრო ოკუპაცია ბათუმის ოლქისა და ახალქალაქის მაზრებისა შემდეგი პირობით. ამ ოლქებს მთელი სამოქა-ლაქო მმართველობა და სუვერენული უფლება ექნება სა-ქართველოს მთავრობას. ქართული ჯარი დაეხმარება ოს-მალეთის ჯარს ამ ოკუპაციის მოხდენაში. ეს მდგომარეო-ბა გაგრძელდება მანამ საბოლოოდ გამოირკვევა საქარ-თველოს და საზოგადოდ პოლიტიკური მდგომარეობა ამი-ერკავკასიაში. თანახმად ამ პრინციპებისა (წესების?) შემუ-შავება მოხდება ახლო მომავალში".

მეორე – საქართველოს მთავრობა აძლევს ანგორის მთავრობას შემდეგ წინადადებას: დაუყოვნებლივ მოახდი-ნოს სამხედრო ოკუპაცია ბათომის ოლქის და ახალქალა-ქის და ახალციხის მაზრების შემდეგი პირობით: ამ ოლქე-ბის მთელი მართებლობა იქნება საქართველოს მთავრო-ბის. ქართული ჯარი დაეხმარება ოსმალეთის (შემდეგ აღ-არ ჩანს, – ლ. თ.) ჯარს ოკუპაციის მოხდენით. ეს მდგომა-რეობა გაგრძელდება მანამ, სანამ საბოლოოდ გამოირკვე-ვა პოლიტიკური (სიტუაცია ?) საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში. მერე საქართველოსა და ანგორის მთავრობა

---

[22] სცსსა, ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდი, საქ. № 386.

ერთად იმოქმედებენ კავკასიის ერთა კონფედერაციის შესაქმნელად. თანახმად ამ პრინციპებისა, დაწერილებითი პრინციპების შემუშავება მოხდება ახლო მომავალში. პასუხს ველით საჩქაროდ. დღესვე გვიპასუხეთ. ფრონტზე ჩვენი მდგომარეობა რთულდება. დღეს ბრძოლა წარმოებს სურამის წინ და კოდორზე."[23]

სიმონ მდივანის პასუხი ნოე ჟორდანიას: „თქვენი პირველი წინადადება მიიღეს, მაგრამ დაუმატეს შემდეგი: 1) ოკუპაციისათვის ქართული ჯარი საჭირო არ არის, 2) ოლქების მთავარ მმართველობასთან იქნება საოკუპაციო ჯარის წარმომადგენელი, 3) იქნება გამოცხადებული, რომ მომავალში საქ. და ოსმალეთის მთავრობათა შეთანხმებით ამ ოლქებში უნდა მოხდეს პლებისციტი. ამას აცხადებენ ლონდონისა და უფრო რუსეთის გასაგონად. სამმა მინისტრმა მთავრობის სახელით და პირადად პატიოსანი სიტყვა მომცა, რომ როგორც კი ჩვენი მდგომარეობა განმტკიცდება, ამ ოლქებიდან დაუყოვნებლივ ჯარს გაიყვანენ, 4) პირობის დაწერა უხერხულად მიაჩნიათ, ვინაიდან მოსკოვსა და ლონდონს შუა მათი მდგომარეობა გაურკვევლია. გარდა ამისა, ჩვენიც ეშინით იმ რეკვის გამო, რომელსაც განიცდიან დამფუძნებელი კრების ზოგიერთი გავლენიანი წევრები, რომლებიც მოითხოვდნენ ბოლშევიკების მიღებას. ეს ცნობა ალბათ ქიაზიმ-ბეიმ* მიაწოდათ. საზოგადოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი უბედურება ის არის, რომ ვერ შევძელით დაცდა ლონდონის კონფერენციის დასასრულისა. უბრძანეთ, რომ ყოველდღე ცნობები მომცენ ევროპის ინფორმაციისათვის."[24]

ასეთი იყო მოკლედ თურქეთ-საქართველოს საკმაოდ არაორდინალური ურთიერთობა 1921 წლის თებერვალ-მარტში ნოე ჟორდანიას მთავრობის უცხოეთში გახიზვნამდე. დამახასიათებელია, რომ ამ ურთიერთობის ამსახველ დოკუმენტებში საკმაო მასალა მოიძებნება საქართველოსადმი თურქეთის არამტრული დამოკიდებულების საჩვენებ-

---

[23] სცსსა, ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდის მიკროფირები, საქ. № 387.

[24] იქვე, საქ. № 386.

ლად, მხედველობაში გვაქვს თურქეთის მხარის სატყვიერი განცხადებები საქართველოსათვის სამხედრო დახმარების შესახებ. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ამ განცხადებების გულწრფელობაში ზოგიერთ ქართველ მოღვაწეს, უწინარესად, თურქეთში საქართველოს ელჩს, ეჭვი არ ეპარებოდა. ასევე საკმაოზე მეტი საბუთი მოიპოვება იმის დასამტკიცებლად, რომ თურქეთი ორმაგ თამაშს ეწეოდა: სარგებლობდა საქართველოს მთავრობის „გულუბრყვილობით" და თავის საქმეს აკეთებდა. 1921 წლის 17-19 მარტს ეს პრაქტიკულად დადასტურდა.

ყველაფრის გასაღებს ამ დღეების ქრონიკა იძლევა. დავიწყოთ იმ ცნობილი, ერთი შეხედვით არაორდინალური ნაბიჯით, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ უცხოეთში გახიზვნის წინ გადადგა. 1921 წლის 18 მარტს გამთენიას (?) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საგანგებო რწმუნებულმა გიორგაძემ ბათუმის ციხიდან გამოიყვანა პატიმარი ბოლშევიკი ლიდერები სერგო ქავთარაძე*, ვანო სტურუა**, თენგიზ ყელენტი,*** შალვა დადიანი (არ აგვერიოს ცნობილი მწერალსა და საზოგადო მოღვაწეში), კარპე მოდებაძე და სხვები (დაახლოებით 15-20 კაცი), რომელთაც, ცხადია, მთავრობისვე დავალებით, შესთავაზა ხელში აეღოთ ძალაუფლება. ეს ის მომენტია, როცა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა თავის უკანასკნელ საყრდენს — ბათუმს ტოვებდა. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დაინტერესებული იყო, რომ ციხიდან განთავისუფლებულ ბოლშევიკებს სასწრაფოდ მიეღოთ ზომები თავიანთი ადგილობრივი (აჭარის) ხელისუფლების ორგანიზაციისა და ბათუმიდან თურქეთის ჯარის განდევნისათვის.

თვითმხილველთა მოწმობით, მოვლენები შემდგომში ასე განვითარდა. გიორგაძეს,**** რომელიც პატიმრობიდან განთავისუფლებულ ბოლშევიკებთან მოლაპარაკებას ეწეოდა თავის კაბინეტში, თურქმა ოფიცერმა (საიდან გაჩნდა თურქი ოფიცერი? — ავტორის შენიშვნა) გადასცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან თურქეთის დიდი ეროვნული კრების ელჩის ქიაზიმ-ბეის

ბრძანება (?), რომელშიც ნათქვამი იყო, რომ იგი (ქიაზიმ-ბეი) დანიშნულია ბათუმის გუბერნატორად. ქიაზიმ-ბეი წინადადებას იძლეოდა ქ. ბათუმში ყველა მას დამორჩილებოდა. იგი მოითხოვდა ქართველთა შეიარაღებული რაზმების განიარაღებას, ბათუმის შენობებზე თურქეთის დროშების აღმართვას და ა.შ. ბათუმში შემოსულ თურქეთის შეიარაღებულ რაზმებს ამ დროისათვის დაკავებული ჰქონდათ ბევრი სახელმწიფო დაწესებულება, რადიოსადგური, ფოსტა, ბათუმის გამაგრებული რაიონის ფორტები და ა.შ.

ქართულ მხარეს სასწრაფო და გადამჭრელი ზომები უნდა მიეღო ქალაქის შესანარჩუნებლად. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის უცხოეთში გახიზვნის შემდეგ ამ ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლის ორგანიზაცია ისტორიამ საქართველოს საბჭოთა მთავრობას დააკისრა. ბილშევიკებმა ბათუმში შექმნეს რევკომი სერგო ქავთარაძის მეთაურობით, რომელმაც ხელი მოჰკიდა ქალაქის დაცვას. აჭარაში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. რევკომმა უპირველეს ამოცანად დაისახა ქიაზიმ-ბეის მოსალოდნელი პროვოკაციების აღკვეთა, მისი გეგმების ჩაშლა.

მაინც რა იყო მოსალოდნელი? ქიაზიმ-ბეის შეეძლო დაეჩემებინა, რომ იგი, როგორც „ხელისუფლების ერთადერთი წარმომადგენელი“ თვით აჭარის მოსახლეობამ მოიწვია, რაც გარკვეულწილად გაზრდიდა მის შანსებს ბრძოლის განგრძობისათვის. ამ ვითარებაში, როცა ბათუმში ახალი, ოფიციალური ხელისუფლება ჯერ კიდევ არ იყო განმტკიცებული, საფუძველი ასეთი საშიშროებისათვის ნამდვილად არსებობდა.

ამას კი შეეძლო ჩაეფუშა ლორთქიფანიძე-ორახელაშვილის ზემოაღნიშნული მოლაპარაკება აჭარაში წითელი არმიის ნაწილების შეყვანის დაჩქარების შესახებ. მოსალოდნელი იყო საბედისწერო შედეგიც – ბათუმის დაკარგვა. ყოველ შემთხვევაში ბათუმის რევკომს ასეთი საშიშროება რეალურად უნდა მიეჩნია, რადგან თურქეთი აშკარად აცხადებდა პრეტენზიას ბათუმზე.

მაგრამ რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულება? ამ დოკუმენტით ხომ თურქეთმა ბათუმზე სუზერენიტეტი „დაუთმო"? ვითომ თურქეთი ამ ხელშეკრულების ცალმხრივ დარღვევას მისი გაფორმების მეორე დღესვე აპირებდა? [მელნის შეშრობამდე? — ავტორის შენიშვნა] ძნელი დასაჯერებელია, უფრო მეტიც, გამორიცხულია.

უფრო ლოგიკური ჩანს შემდეგი: ანგორის მთავრობა იმედოვნებდა, რომ თუ მისი ჯარი ბათუმს აჭარაში წითელი არმიის ნაწილების შესვლამდე დაიკავებდა (აჭარის მოსახლეობის თუნდაც გარკვეული ნაწილის მხარდაჭერით) და მოსკოვს ფაქტის წინაშე დააყენებდა, წითელი არმია თურქეთის ჯართან ბათუმისათვის ომს არ გამართავდა. ასეთი იმედის საფუძველს იქნებ ის იძლეოდა, რომ საბჭოთა რუსეთი მაშინ თურქეთს თავის მოკავშირედ თვლიდა ანტანტის წინააღმდეგ ბრძოლაში და საბერძნეთთან ომშიც ეხმარებოდა მას. საბჭოთა რუსეთი თურქეთთან ომს მართლაც „მოერიდა." ბათუმის საკითხი მან უფრო გონივრულად მოაგვარა და ამაში გადამწყვეტი როლი ბათუმის რევკომმა და ქართულმა მხედრობამ შეასრულა. ბათუმისათვის ბრძოლაში წითელარმიელებს ერთი ტყვიაც არ გაუსვრიათ. არ გამართლდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის იმედი (თუკი ასეთი ჰქონდა), — რუსეთისა და თურქეთის ჯარები ერთმანეთს არ დაეჯახნენ.

მივყვეთ მოვლენებს იმ თანამიმდევრობით, როგორც აღწერილია 1928 წლის 17 თებერვალს ქ. თბილისში შედგენილ დოკუმენტში, რომელიც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს წარედგინა ბათუმის ამბების ერთ-ერთი აქტიური მონაწილის ‘ალვა დადიანის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვებასთან დაკავშირებით (დოკუმენტს ხელს აწერდა საქართველოს სს რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის იმ დროინდელი სახალხო კომისარი კ. ხომერიკი. დოკუმენტში აღნიშნულის სისწორეს ადასტურებდა საქართველოს სს რესპუბლიკის მეორე სახალხო კომისარი ა. დოლიძე.

„ნახევარი საათიც არ იყო გასული ბათუმის რევკომის შექმნიდან, რომ მისი შენობის ირგვლივ თურქმა ასკერებმა სროლა ატეხეს. ასკერები ახალი ხელისუფლების დაშინებასა და ქალაქის დაპატრონებას აპირებდნენ. რევკომი სერგო ქავთარაძის მეთაურობით ციხესიმაგრის შტაბის შენობაში გადავიდა. იქვე სასწრაფოდ შეიქმნა სამხედრო საბჭო (სამეული) შალვა დადიანის, კალე საჯაიას* და თენგიზ ჟღენტის შემადგენლობით. სამეულს მიეცა დავალება „не сдавать Кязим-бсю Батуми во что бы то ни стало." ბათუმის დაცვაში მონაწილეობა რევკომმა შესთავაზა საქართველოში რსფსრ სამხედრო ატაშეს, იმ დროს ბათუმში მყოფ პ. სიტინსაც,** რომელმაც „ზოგიერთი მოსაზრებით" უარი თქვა.

კალე საჯაია ავადმყოფობის გამო მალე გამოეთიშა სამეულს, რომელშიც ფაქტობრივად მხოლოდ შალვა დადიანი დარჩა, რადგან თენგიზ ჟღენტი, ვანო სტურუასთან ერთად, რკინიგზის ვაგზლის თავდაცვას ხელმძღვანელობდა. რევკომის დავალებით შალვა დადიანმა ბათუმის ციხიდან გამოუშვა 1000-მდე კომუნისტი და შეძლებისდაგვარად შეაიარაღა ისინი. ბათუმის დაცვაში მონაწილეობის მიღების მიზნით რევკომის მხარეზე გადმოვიდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიისა და კავალერიის ნაწილები (რომლებიც მაშინ ბათუმში იმყოფებოდნენ) და ასე სახელდახელოდ შექმნილი და გაერთიანებული შეიარაღებული ძალებით მოეწყო ქიაზიმ-ბეის ჯარისაგან ბათუმის დაცვა. შალვა დადიანის შეიარაღებულმა რაზმებმა სასწრაფოდ დაიკავეს რკინიგზის სამგზავრო სადგური, ციხესიმაგრის შტაბის რაიონი, ქუჩათა მნიშვნელოვანი გადაკვეთები. ამრიგად, ქიაზიმ-ბეის ჯარები, რომლებსაც დაკავებული ჰქონდათ ფოსტის შენობა, მილიციის სამმართველო და ქალაქის სხვა პუნქტები, მოწყვეტილი აღმოჩნდნენ თავიანთი მთავარი ძალებისაგან. თვით ქიაზიმ-ბეი, თავისი შტაბით, რევკომის ძალთა განლაგებაში მოექცა. რევკომის ამოცანა იყო როგორმე შეენარჩუნებინა პოზიციები (თუნდაც ქიაზიმ-ბეის პარალელურად) წითელი არმიის ნაწილების მოსვლამდე. რევკომის დავალებით

შალვა დადიანმა ქიაზიმ-ბეის შეატყობინა, რომ ქალაქში „წესრიგის დაცვაზე“ ნულარ „შეიწუხებდა“ ჯარს ბათუმის თავდაცვის შტაბზე შეტევა უბრძანა. ასკერთა იერიში მოგერიებული იქნა, მათ დაკარგეს 1 ოფიცერი (კაპიტანი) და 5 ასკერი, ქართულმა მხარემ – 6 ჯარისკაცი. მოგერიებულ იქნა თურქთა შემდგომი შემოტევებიც, რომლებსაც თან ახლდა მათ მიერ მაღაზიების ძარცვა და სხვა ბანდიტური გამოხტომები. შალვა დადიანმა მეორედ მიმართა ქიაზიმ-ბეის, მოუწოდა მას შეეწყვიტა სისხლის ღვრა, პასუხისმგებლობა დააკისრა მომხდარისათვის და შესთავაზა ზავის დადება. ეს მიმართვა ქიაზიმ-ბეიმ უპასუხოდ დატოვა. უფრო მეტი, ხელმეორედ შემოუტია რევკომის შტაბს, შეტევა მოგერიებულ იქნა და ქართველებმა ცეცხლი გაუხსნეს ქიაზიმ-ბეის შტაბს, რის შემდეგაც მოსწყვიტეს იგი თავის მოქმედ ჯარს. ყოველივე ეს ხდებოდა 18 მარტის გათენებამდე (в ночь на 18 марта). 18 მარტს კი რევკომის განკარგულებაში მყოფი ჯარი საკმაოდ გაიზარდა. მის რიგებს ყოველ საათში ემატებოდა შეიარაღებული კომუნისტები და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ჯარისკაცები, რომლებიც დაახლოებით ასე მსჯელობდნენ:

„Лучше пусть Батум достанется Грузии несмотря на то, что у власти большевики, чем туркам” (დოკუმენტის ავტორი ამაში „თავისებურ ნაციონალიზმს“ ხედავს).

18 მარტის პირველი საათისთვის რევკომის განკარგულებაში უკვე 700-მდე ფეხოსანი და 150 კავალერისტი (ცხენოსანი) იყო. ჰქონდათ სასულე ორკესტრიც. აი ამ დროს ქიაზიმ-ბეიმ შალვა დადიანს თვითონ გამოუგზავნა პარლამენტიორები, რომლებსაც თურქეთის გენერალური შტაბის ოფიცერი მეთაურობდა. ამ ოფიცერს თურმე ხშირად ხედავდნენ თბილისში, მას თავი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თანამგრძნობად მოჰქონდა. შალვა დადიანმა იგი ბათუმში შეიცნო. „Я являюсь начальником штаба и очень сожалею, что этот старого закала полковник Киязим-бей так нехорошо поступает“– განუცხადა ამ თურქმა ოფიცერმა შალვა დადიანს და ამასთან ქიაზიმ-ბეის თხოვნაც გადასცა: მისულიყო მასთან და მოლაპარა-

კება გაემართათ. თვით ის ფაქტი, რომ ქიაზიმ-ბეი მოლაპარაკებას ითხოვდა, იმის მანიშნებელი იყო, რომ თურქ ასკერებს საქმე ბათუმში კარგად არ მიუდიოდათ.

შალვა დადიანმა რამდენიმე კაცის თანხლებით და უსაფრთხოების სათანადო ზომების გათვალისწინებით, მართლაც მოინახულა ქიაზიმ-ბეი, რომელსაც წინადადება მისცა შეეწყიტა საშიში ავანტიურა, გაეყვანა ბათუმიდან ჯარი და თურქთა მიერ გადაბირებული სასაზღვრო ზოლის ლაზი გლეხები. შალვა დადიანი ქიაზიმ-ბეის წარუდგა, როგორც აჭარის რევკომის რწმუნებული და ბათუმის თავდაცვის საბჭოს ხელმძღვანელი. ქიაზიმ-ბეის პასუხი: „Он, Киязим-бей, как солдат исполняет приказ своего начальства и как „валли", т.е. генерал-губернатор Батумской области требует разоружения и полного подчинения" (грузинских вооруженных сил).[25]

შალვა დადიანმა დაუყოვნებლივ დაზავება და თავთავიანთი მთავრობების შემდგომი დირექტივებისათვის დალოდება შესთავაზა ქიაზიმ-ბეის. საზავო მოლაპარაკება გადაიდო საღამოსთვის, როცა მართლაც მიაღწიეს ზავს 24 საათით. ყოველ შემთხვევაში, მთელი ღამე 18 მარტიდან 19 მარტის გათენებამდე არც ერთი გასროლა არ მომხდარა.

ამ შესვენებას ორივე მხარე უნდობლობით უყურებდა. სამხედრო საბჭო (თავდაცვის საბჭო) რასაკვირველია, გრძნობდა, რომ ქიაზიმ-ბეი შესვენებას თავისი მიზნებისათვის გამოიყენებდა და თითონაც არ იყო გულხელდაკრეფილი – თავს უყრიდა ქართულ ძალებს, რათა მზად დახვედროდა თურქთა მხრიდან ბრძოლის განახლებას. დაზავების შემდეგ შალვა დადიანი დირექტივების მისაღებად აჭარის რევკომის თავმჯდომარეს სერგო ქავთარაძეს ეწვია. იქ მას საქართველოში საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი, ბათუმის ციხიდან ახლახან

---

[25] პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ.თბილისი), ფ.14, ანაწ. 4, საქ. 13, ფურც. 149-153.

განთავისუფლებული შეინმანიც* დახვდა. დირექტიცა ასეთი იყო: რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, შეენარჩუნებინათ ძალაუფლება და დალოდებოდნენ ბათუმში წითელი არმიის ნაწილების შემოსვლას.

სამხედრო საბჭო ქიაზიმ-ბეის ჯარების წინააღმდეგ შეტევისათვის მზადებას შეუდგა. ამ დროისათვის ქიაზიმ-ბეის ბათუმთან თავისი სარეზერვო ძალებიც მოუყვანია. ეს ძალები შედგებოდნენ გლეხებისაგან, რომელთა უმრავლესობას ლაზები წარმოადგენდნენ. მათ სათავეში თურქი ოფიცრები და უნტერ-ოფიცრები ედგნენ. ვითარებაში გასარკვევად შალვა დადიანი აჭარის წყალზე ავტომობილით გაემგზავრა. იქ მართლაც დახვდა მას შეიარაღებულ გლეხთა დიდი მასა, რომელსაც უმთავრესად თურქი უნტერ-ოფიცრები მეთაურობდნენ. ლაზი გლეხები თურქთა მიერ იყვნენ ინსპირირებული. მათ თურმე ჩააგონეს, რომ ქართველთა ჯარი (მენშევიკური არმია) თურქეთის ჯარს ზურგიდან უტევდა საბერძნეთის არმიის დახმარების მიზნით (ამ დროს თურქეთსა და საბერძნეთს შორის ომი მიმდინარეობდა), ამიტომაც იყო, რომ ისინი თავდაპირველად გულისწყრომას არ მალავდნენ და ზიზღით უყურებდნენ სტუმარს. მაგრამ, მას შემდეგ, რაც შალვა დადიანმა მათთვის გასაგებ მეგრულ ენაზე განმარტა, თუ რაში იყო საქმე, ლაზებმა მყისვე „შეცვალეს ტონი“.

ქიაზიმ-ბეის კიდევ ერთი ფანდი (ხრიკი). მან რასაკვირველია, იცოდა, რომ აჭარაში შესასვლელად გოდერძის უღელტეხილიდანაც მოიჩქაროდნენ წითელარმიელები. იმასაც გრძნობდა, რომ ბათუმში მათი შესვლის შემდეგ თურქეთი საბოლოოდ უნდა გამომშვიდებობოდა ბათუმს, სხვანაირად რუსეთსა და თურქეთს შორის ომი გარდაუვალი იქნებოდა, რაც მაშინ არც ერთ მხარეს არ აძლევდა ხელს. აქ კვლავ დგება კითხვა, რატომ არ უბორკავდა ხელს მოსკოვის 16 მარტის ხალშეკრულება თურქეთს, მის წარმომადგენელს ქიაზიმ-ბეის ბათუმის დაკავებისათვის ასეთ თაეგამოდებულ ბრძოლაში? იქნებ თვით ეს ხელშეკრულება არ გამორიცხავდა ბათუმის დაკავებისათვის ორივე მხარის ბრძოლას (მცდელობას) „ვინ ვის დაასწრებს“

და „ფაქტის წინაშე დაყენების“ პრინციპით. ყოველ შემთხვევაში, თურქეთის მხრიდან რომ ასეთი მცდელობა იყო, ეს უდავოა. რუსეთის პოლიტიკა, რომელიც ამჯერად რუსულ-ქართულ ინტერესებს მოიცავდა, ამ მხრივ უფრო მომგებიანი აღმოჩნდა.

და აი, ამ მომენტში ქიაზიმ-ბეი თავის კაცებს გზავნის წითელი არმიის ნაწილების ხელმძღვანელობასთან, კერძოდ, ულობასთან* შესახვედრად. მათი მიზანია შეაფერხონ ულობას კავალერიის შესვლა აჭარაში. იყენებენ დეზინფორმაციის საშუალებებს: ბათუმში რუსის ჯარს ხაფანგს უმზადებენ, მასთან საომრად ბათუმში მზად არიან ინგლის-საფრანგეთის ჯარი და სამხედრო-საზღვაო ფლოტი, 16 მარტის ხელშეკრულებით რუსეთმა აჭარა თურქეთს დაუთმო, ბათუმში უკვე თურქეთის ჯარია და ა.შ.

ფანდმა გასჭრა. ულობა კავალერიით გოდერძის ულელტეხილზე შეჩერდა. ქიაზიმ-ბეის პროვოკაციების გარდა, ეს დიდთოვლობამაც განაპირობა. ასეა თუ ისე, ულობამ წინსვლა შეაჩერა და სერგო ორჯონიკიძეს,** რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრს აცნობა, რომ დიდი თოვლის გამო ჯერჯერობით წინ ვერ წაიწევს. სერგო ორჯონიკიძემ მშინვე აპარატთან მოიხმო ცხენოსანი არმიის სამხედრო კომისარი, რომელსაც უბრძანა ბრძანების შეუსრულებლობისათვის დაეპატიმრებინა ულობა და პირადად გაძღოლოდა არმიას წინ, ბათუმისკენ. ეს ბრძანება ულობამაც მოისმინა. დაშინებული, თითონ წაუძღვა არმიას, დიდი თოვლის გადალახვის შეუძლებლობის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს და ულელტეხილიც წარმატებით გადალახა.

ამ დროს თვით ბათუმში მდგომარეობა კვლავ რთული იყო. რკინიგზის ვაგზლიდან შალვა დადიანს ვანო სტურუამ და თენგიზ ჟღენტმა შეატყობინეს, ბათუმს მოუახლოვდა წითელი არმიის 33-ე დივიზიის 292-ე პოლკი, მაგრამ თურქი ასკერები მას ბათუმში არ უშვებენო. დადიანმა ამ პოლკის დასახმარებლად 300 მებრძოლი გაგზავნა, მაგრამ ქიაზიმ-ბეის ჯარისკაცებმა ძლიერი ცეცხლი გაუხსნეს მათ და პოლკთან შეერთება დროებით შეფერხდა. ცოტა ხნის შემდეგ შალვა დადიანთან თვით 292-ე

პოლკის მეთაური გამოცხადდა. მან განაცხადა, რომ მიიღო უშუალო უფროსისა და საქართველოში საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის შეინმანის ბრძანება, შევიდეს ბათუმში და გადავიდეს სამხედრო საბჭოს განკარგულებაში, მაგრამ თურქი ასკერები ამის საშუალებას არ აძლევენ. შალვა დადიანი და 292-ე პოლკის მეთაური ქიაზიმ-ბეის ეწვიენენ მოსალაპარაკებლად. ქიაზიმ-ბეიმ კატეგორიული უარი განაცხადა ბათუმში 292-ე პოლკის შეშვებაზე. დარჩა ერთი გამოსავალი: შეტაკება. ასეც მოხდა. შალვა დადიანის ბრძანებით ქართული შეიარაღებული რაზმი დაიძრა 292-ე პოლკთან შესაერთებლად. ასკერებმა წინააღმდეგობა გაწიეს. ორსაათიანი სისლისმღერელი ბრძოლის შემდეგ ამოცანა განხორციელებულ იქნა. თურქები განდევნეს თავიანთი პოზიციებიდან და 18 მარტს საღამოთი 292-ე პოლკი ბათუმში შევიდა. ამან საგრძნობლად გაადვილა სამხედრო საბჭოს მდგომარეობა (ამოცანა). ამ ბრძოლებში ქართულმა ჯარმა დიდი დანაკლისი განიცადა.

სულ მალე ასკერებმა თავი მოუყარეს თავიანთ ძალებს, ფორტებიდან ცეცხლი გაუხსნეს ქართულ ჯარს და განავითარეს შეტევა ბარცხანა-მიხაილოვოს ყაზარმებზე. ქართულმა მხედრობამ ბრძანება მიიღო, ფეხოსნებიცა და ცხენოსნებიც კონტრშეტევაზე გადასულიყვნენ და თურქები ბათუმიდან განედევნათ. ეს ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა ქართულმა მხედრობამ ისე, რომ წითელი არმიის 33-ე დივიზიის 292-ე პოლკს არავითარი საბრძოლო მონაწილეობა არ მიუღია. ამაეე ქართულმა მხედრობამ დაიკავა განდევნილი თურქი ასკერების პოზიციები და ფორტები, ტყვედ ჩაიგდო 600-მდე ასკერი და ოფიცერი, ხელთ იგდო 16 ტყვიამფრქვეეი, რამდენიმე ათეული ცხენი და ა.შ. ქართველთა მხრიდან მოიკლა და დაიჭრა 80-მდე კაცი. თურქმა ასკერებმა უფრო საგრძნობი დანაკლისი განიცადეს.

ამის შემდეგ ბათუმში ჩამოვიდა სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრი შალვა ელიავა* დივიზიით, რომელ-

საც ნ. კუიბიშევი** ხელმძღვანელობდა. ხულოს მხრიდან კი ბათუმს ულობას კავალერია მოადგა.[26]

ბოლშევიკების მიერ შედგენილ ამ უსათუოდ სანდო დოკუმენტში აღწერილია, თუ რა გააკეთა ოსმალთაგან ქალაქის დასაცავად ბათუმის რევკომმა მისი შექმნის პიველ დღეებში. თვითმხილველნი არ ლაპარაკობენ იმის თაობაზე, თუ რა ვითარებაში შემოვიდა ოსმალთა ჯარი აჭარაში და საერთოდ რა ხდებოდა იქ წინადღეებში. ეს ხარვეზი ნაწილობრივ გამოსწორებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიდმოხელის (აგრეთვე თვითმხილველის), ბათუმის ციხის კომენდანტის ი. ფურცელაძის მოგონებებში, რომელიც დამოწმებულია ვიქტორ ნოზაძის წიგნში „საქართველ;ოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო."

ართვინში ოსმალთა ჯარის შესვლის შემდეგ, 1921 წლის „4 თუ 5 მარტს (ზუსტად არ მახსოვს), – აღნიშნავს ი. ფურცელაძე, – მე მიმიწვიეს გენერალ-გუბერნატორ გ.ტ. გიორგაძესთან, რომელმაც გამოაცხადა, რომ ანგორის მთავრობის წარმომადგენელ ქიაზიმ-ბეისა და ჩვენი მთავრობის შეთანხმების თანახმად, ქემალ ფაშას ჯარები უნდა შემოვიდნენ ბათუმის ოლქში და დაიკავონ ბათუმის ოლქის საზღვრები ოზურგეთისა და ახალციხის მაზრებისაკენ, მაგრამ თვით ქალაქი ბათუმი ოსმალების მიერ დაკავებული არ იქნება. ძალაუფლება რჩება ჩვენს ხელში. ოსმალური ნაწილები ბათუმში შეჩერდებიან, ხოლო აქ თავს მოიყრიან, მოეწყობიან და წავლენ წინ საზღვრებისაკენო. იმ დღეებში ჩემთან შემოვიდა ოსმალური ჯარების შტაბის უფროსი ტალანკ-ბეკ და წინადადება მომცა შემესრულებინა შემდეგი: 1) მიმეცა ბინა 5000 ოსმალი ჯარისკაცისათვის ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში; 2) ამგვარიეე რიცხვის ჯარისკაცებისათვის ბინა აჭარის წყალზე; 3) ბინა ჯარის შტაბისათვის, მგრამ იმ პირობით, რომ იქ დაეტეოდა 100 კაცი მცველებისა; 4) დამემზადებინა და გამეგ-

[26] პოლიტიკური პარტიების არქიეი (ქ.თბილისი), ფ.14, ანაწ. 4, საქ. 13, ფურც. 153-158.

ზავნა ბორჩხაში 200 ფუთი პური; 5) მიმეცა შტაბის განკარგულებაში 2 მსუბუქი ავტომობილი. ამის გარდა მთხოვა გამეცა პასუხი საკითხზე: რა ვადაში შემიძლია მე გადავსცე ციხე ოსმალურ სარდლობას და გავიყვანო ქართული ჯარი ოლქიდან. ამ კითხვაზე მე პასუხი არ გავეცი, რადგან არავითარი ინსტრუქცია არა მქონდა, არამც თუ შემესრულებინა მოთხოვნილება, არამედ თუ გინდ მელაპარაკა ამის გამო. რაც შეეხება მოთხოვნილებას ბინის, პურის, ავტომობილების და სხვათა შესახებ, მე მქონდა ინსტრუქცია კარგად მოვპყრობოდი ოსმალებს და შეძლებისდაგვარად დამეკმაყოფილებინა ყველა მოთხოვნილება. ვცდილობდი, რაც ჩემს ხელისუფლებაში და შესაძლებლობაში იყო. 5000 კაცისათვის ბინის მიცემა მოკლე დროში შეუძლებელი იყო. საინჟინრო მმართველობამ შესაფერი ბინის მოძებნა ვერ შესძლო და იძულებული ვიყავით ოსმალების ჯარებისათვის მიგვეცა ბარცხანის ყაზარმები, რომელიც ეჭირა სახალხო გვარდიას. იქ დაეტეოდა მხოლოდ 500 კაცი. პურს ვაცხობდით ჩვენს ფურნეებში და ვაგზავნიდით „პადეოდებით“ და „გრუზოვიკებით“ აჭარის წყალზე და ბორჩხაში. ოსმალების ჯარების შტაბისათვის ბინას ვეძებდით, მაგრამ ოსმალებს ბინები არ აკმაყოფილებდა ხან სივიწროვის გამო, ხან მოუწყობლობის გამო. ისინი მოითხოვდნენ შტაბისათვის იმ ბინას, სადაც იმყოფება ახლაც საინჟინრო მმართველობა. საერთოდ მოთხოვნანი და კაპრიზები ოსმალური სარდლობისა თავიდანვე მაიძულებდნენ ეჭვის თვალით მეცქირა მათთვის: ოლქში შემოსვლის შესახებ ოსმალები იგვიანებდნენ. პირველი ეშელონი ოსმალთა ჯარებისა, ორი როტა ტყვიისმფრქვევებით (სულ რაღაც 500 კაცამდე) მოვიდა 11 საათზე 11 მარტს. ბათუმში ოსმალური რაზმის შემოსვლას ადგილობრივი მუსულმანური მოსახლეობა დიდი ენთუზიაზმით შეხვდა, დიდი ბრბო ხალხისა მიაცილებდა რაზმს ძახილითა და ფლაგებით.

ამავე დღეს სახალხო გვარდიისაგან დაიწყო ჩივილი ოსმალების თვითნებობის შესახებ, და შეტაკების თავიდან ასაცდენად, იმას გარდა, რომ ამის შესახებ არაერთჯერ

მიემართე ოსმალურ სარდლობას შტაბში, იძულებული ვიყავი სახალხო გვარდია გამომეყვანა ბარცხანის ყაზარმებიდან აზიზეს მოედანზე და ბარცხანის ყაზარმები კი მთლიანად ოსმალებისათვის დამეთმო.

იმ ხნის განმავლობაში, როცა გადაწყდა საკითხი ოსმალების შემოსვლის შესახებ ბათუმის ოლქში, მათ ფაქტიურ შემოსვლამდე (4-5 დღე) დაწესებულებებში აგრეთვე ღელავდნენ, ეშინოდათ, რომ ოსმალები არ შეასრულებენ ხელშეკრულებას და არ დაიკავებენ თავისი ჯარებით ოლქს. ეს შიში გაეიგონე. სხვათა შორის, გენერალ-გუბერნატორ გიორგაძისაგანაც. აჭარისწყალზე ოსმალური რაზმი, რომელიც შესდგებოდა ორი როტისაგან ტყვიის მფრქვეველებითურთ, მოვიდა ბორჩხიდან 10 მარტს, და გააგზავნა პატარა ნაწილები ხულოში და ქედაში. ოსმალთა ჯარების შემდეგი ეშელონ ბატალიონის კომანდირითურთ (ბეკ-ბაში) შემოვიდა ბათუმში 12 მარტს საღამოს, და მესამე, აგრეთვე დაახლოებით 500 კაცით, ღამე 15-დან 16 მარტს. შემდეგ ეშელონებს მოველოდით, მაგრამ ისინი არ მოსულან წითლების ჯარების მიერ ბათუმის დაკავებამდე. სულ ბათუმის ოლქში ოსმალური ჯარების რიცხვი იყო დაახლოებით სამი ათას ნახევარი, მათგან ჭოროხზე და ოზურგეთის მაზრის საზღვარზე 200 კაცამდე, აჭარისწყალზე – 500 კაცამდე, დანარჩენები იყვნენ გზაში ლიბანიდან ბათუმისაკენ (ამ გზით მოდიოდნენ ყველა ეშელონები ხოფიდან ბათუმში). ამ ხნის განმავლობაში ოსმალური სარდლობა ჩვენს შინაგან მმართველობაში არ ერეოდა, აგზავნიდა პატრულებს, რომელიც ოსმალო ჯარისკაცებს თვალყურს ადევნებდნენ. ამავე დროს ქუთაისიდან ჩამოვიდა ქიაზიმ-ბეი. უკანასკნელ დღეებში, საბჭოთა ჯარების შემოსვლამდე, განწყობილება იყო შიშის. ქიაზიმ-ბეისა და ოსმალური სარდლობის ყოფაქცევა და მათი საიდუმლო დამოკიდებულება აჭარლების წარმომადგენლებთან, მუდმივი ყოფნა ქიაზიმ-ბეისთან მთის მთავრობის წარმომადგენლის ჰაიდარ ბამატოვისა და ახმეტ ტალიკოვისა უფლებას გვაძლევდა გვეფიქრა, რომ ოსმალები რაღაცას ამზადებენ. ეჭვიანობა გაძლიერდა მით, რომ აჭარისწყალზე

მეოფი ოსმალური სარდლობა გვაცნობინებდა, რომ ახალციხის მხრით წითელი ჯარები არ არიანო, მაგრამ წინათ ხულოდან მიღებული ცნობები ამბობდა, რომ გოდერძის გადასავალით ახალციხის მხრიდან მოიწევიან წითელი ჯარები, აღნიშნავდენ პოლკის ნომერსაც —105.

15 და 16 მარტს ყველა ჯარი იყო სრულიად მზად: ღამით იგზავნებოდნენ გაძლიერებული პატრულები, ინიშნებოდნენ მორიგი ნაწილები. გარკვევით ლაპარაკობდენ, რომ ოსმალები ემზადებიან ღამით განაიარაღონ ქართული ჯარები და შეიარაღონ აჭარლებიო. ჩვენ ამას ველოდით ყოველ ღამეს. 16 (მარტს) ღამით გავიგეთ, რომ ოსმალები 17-ს აპირებენ დაიკავონ ფორტები ნომერი 2 (კახაბერი), ნომერი 4 (პატარა სამება) და ბლოკჰაუსები: კვეცელური, ტორარტოსირტი, სამება და ანარია. დილით ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს კახაბერი სამთო ბატარეით და 300 კაცით მესაზღვრეებისა, ფორტი ნომერი 1 მხოლოდ ნახევარი; ბლოკჰაუსები: სამება და ანარია; ნომერი 4 ფორტის და ნომერი 1 ნახევარი ფორტის. ბლოკჰაუსების ტორარტოსირტის და კვეცელურის დაკავება ჩვენმა ჯარებმა ვერ მოასწრეს, რადგან იქ აღმოჩნდნენ ოსმალები, რომელთაც ისინი დაეკავებინათ წინა დღით; 17 მარტს, 12 საათიდან ვღებულობდით ცნობებს, რომ ოსმალები ბარცხანის ყაზარმებიდან გადიან სხვა და სხვა მიმართულებით და შემდეგ ცოტა ხნისა, ჩვენი ჯარების მიერ დაკავებული ფორტებიდან მივიღეთ ცნობები, რომ ოსმალური ჯარები მოითხოვენ მათგან დასცალონ ფორტები და შეუშვან ისინი შიგნით. შეიარაღებული შეჯახების ასაცდენად მე მთელი დღის განმავლობაში რამოდენჯერმე მომიხდა ვეოფილიყავი ქიაზიმ-ბეისთან, ოსმალურ სარდლობასთან, ჩვენ მთავარსარდალ კვინიტაძესთან და მთავრობის თავმჯდომარე ეორდანიასთან. წავედი ფორტებზე ოსმალურ სარდლობის დელეგატიტურთ, მომეგვარებინა საქმე. ოსმალები დაეინებით ითოვდნენ შეეშვათ ისინი ფორტებში და დაეყენებინათ ჩვენ ნაწილებთან ერთად, ასაბუთებდნენ რა ამას იმით, რომ ჩვენ ვართ ძმები და ვაკეთებთ საერთო საქმესო. ისინი არაფრის გულისათვის არ თანხმდებოდენ დაეწიათ უკ-

ან თავისი ნაწილები, თუგინდ ნახევარი ვერსით, რათა დაგვეყენებინა ბინებში და ამასთანავე არ უშვებდენ წინ ჩვენ როტებს, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ თავისი ადგილების დაკავება, არ უშვებდენ ჩვენებს ფორტებში ნომერ 4 და ალყა შემოარტყეს ბლოკჰაუზ სამებას, სადაც უკვე იყო ჩვენი როტა.

მე ცხადად ვხედავდი რაღაც მზაკვრობას, მაგრამ ყოველნაირად ვცდილობდი ამეცდინა შეტაკება. ჩემს ნაწილებს ეუბრძანე ყოველგვარად აეცდინათ გამწვავებული დამოკიდებულება: ოსმალები ჩვენს მიერ დაკავებულ ადგილებში არ შეეშვათ და მათ მტრულ მოქმედებაზე ეპასუხათ ძალით. საღამოს 17-ს და 18-ს ფორტებზე მაინცდამაინც შეტაკებები არ იყო. ის დაიწყო დილით 18-ს.

17-ს საღამოს 10 საათზე ოსმალებმა დაიკავეს 40 კაცით ფოსტა, ტელეგრაფი და ტელეფონი, ნახევარი საათით გვიან — ქალაქის მილიციის სამმართველო და მილიციის საუბნო სამმართველო, ქალაქში გაჩნდნენ ძლიერი პატრულები. 17-ს საღამოს შესდგა ბათუმში დროებითი რევკომი, რომელიც საღამოს 9 საათისათვის გადავიდა ციხის შტაბის ბინაზე და ჩემთან ერთად ხელმძღვანელობდა ქალაქის გადარჩენას ოსმალების დაკავებისაგან. ყველა იქ მყოფი ჯარები დავაგროვეთ ციხის შტაბთან, გავაგზავნეთ მთელ ქალაქში პატრულები და „რაზიეზდები". საღამოს დაიწყო დუქნების ძარცვა ქუთაისის ქუჩაზე. ჩვენი პატრულები და „რაზიეზდები" ფანტავდნენ ხერეტდენ მძარცველებს, ბევრი გაძარცული წავართვით. სრულ 12 საათზე ღამით მივიღე ქიაზიმ-ბეის ბრძანება, რომელშიც მან გამოაცხადა ბათუმის ოლქი ოსმალეთთან შეერთებულად და თავისი თავი კი გენერალ-გუბერნატორად. ჩვენს ჯარებს წინადადება ეძლეოდა 24 საათში დაეტოვებინა ოლქის ფარგლები, დაეყარა იარაღი. ამ ბრძანებაზე ჩვენ არავითარ პასუხს არ ვაძლევდით. მთელ ღამეს ჯარები გუშაგად იდგნენ. ჩვენ „რაზიეზდები" და „პატრულები" და ოსმალებისა შეხვედრის დროს იწყებდნენ სროლას. ბოლოს ოსმალების პატრულები გაჰქრნენ. ოსმალები შეეცადნენ დაეკავებინათ ციხის შტაბის ბინა, მაგრამ რადგა-

ნაც გამაგრებული იყო იგი ჩვენს მიერ, – დაანებეს თავი. დილიდან დაიწყო ბრძოლები ფორტებზე. განთიადისას ოსმალებმა დაიკავეს რადიო-ტელეგრაფი და ემზადებოდნენ დაეჭირათ საინჟინერო როტის ბინა, მაგრამ ეს მათ ვერ შესძლეს. კახაბერზე გათენებისას ოსმალები უცბად შეიჭრენ და განაიარაღეს ჩვენი ჯარისკაცების ნაწილი, მაგრამ იქიდან გამოყარეს ისინი და შემდეგ სავსებით გარეკეს კახაბერიდან. 12 საათზე მოვიდა პირველი ეშელონი რუსული წითელი არმიის 292-ე პოლკისა და საღამოს ელობას ბრიგადის პოლკები, ფორტებზე 18-ს, 19-ს და 20-ს წარმოებდა სროლა, მაგრამ 21-ს ყველა ოსმალური ჯარი ტყვედ ჩავიგდეთ ხელში და განეაიარაღეთ."[27]

ახლა მოვუსმინოთ გენერალ გიორგი მაზნიაშვილს, რომელიც თავგამოდებით იბრძოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის, ხოლო 1921 წლის მარტში უშუალოდ ხელმძღვანელობდა ქართული მხედრობის ოპერაციას ბათუმიდან თურქი ასკერების განდევნისათვის ბრძოლაში.

გენერალ მაზნიაშვილი ქიაზიმ-ბეის, როლსაც ეხება და მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობა დიდხანს „ვერ გამორკვეულიყო ქიაზიმ-ბეის ტკბილი ზღაპრების ბურუსიდან. ქიაზიმ-ბეი... იყო ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენელი, რომელიც არწმუნებდა ჩვენს მთავრობას, რომ ოსმალეთის ერთადერთი სურვილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობა, და ალბათ, ამიტომ დაუთმო ოსმალეთს საქართველოს მთავრობამ ჯერ ახალციხის მაზრის ნაწილი და მთელი არდაგანისა და ართვინის ოლქები, ხოლო შემდეგ, როდესაც დაიწყო სამხედრო მოქმედება ბოლშევიკებთან, ქიაზიმ-ბეის და მის ტელეგრაფის მოხელეს მისცეს უფლება, ხელშეუშლელად მთელი დღე-ღამის განმავლობაში ესარგებლათ მთავარი შტაბის სააპარატო ოთახით, ისე რომ ქიაზიმ-ბეიმ იცოდა ჩვენი მოქმედების საიდუმლოებანი გაცილებით უკეთესად, ვიდ-

---

[27] ვიქტორ ნოსაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ. 98-102.

რე ჩვენ ეიცოდით. ჩვენს მთავრობასა და მთავარსარდალს თვალები აეხილათ მხოლოდ 17 მარტს და მხოლოდ მაშინ დაინახეს ქიაზიმ-ბეის ოინები, მაგრამ უკვე გვიანღა იყო".

შემდეგ გენერალი მაზნიაშვილი ბათუმისათვის ბრძოლის ეპიზოდებსაც აგვიწერს: „17 მარტს, განაგრძობს ის, – შუადღისას ქუთაისიდან მოვიდა ჩემთან (გ. მაზნიაშვილი მაშინ ქ. ლანჩხუთში იმყოფებოდა, – ლ.თ) პოლკ. გურგენიძე და გადმომცა ბარათი მთავრობის თავმჯდომარის მაოდგილის, გრიგოლ ლორთქიფანიძისა, რომელიც დარჩა ქუთაისში ბოლშევიკებთან მოსალაპარაკებლად. ლორთქიფანიძე მაცნობებდა, რომ ჩვენს მთავრობასა და ბოლშევიკებს შორის დაიდო დროებითი ზავი და წინადადება მეჯლეოდა მომეგროვებინა საჯავახოს ხიდთან ცარიელი მატარებლები საბჭოთა ჯარების ბათუმში გადასაყვანად. შემდეგში ინსტრუქციები მე უნდა მიმეღო მთავარსარდლისა და მთავრობისაგან. პოლკ. გურგენიძესთან ერთად ლანჩხუთის სადგურზე მოვიდა საბჭოთა მთავრობის დელეგატიც, რომელმაც მთხოვა საჩქაროდ გამეგზავნა იგი ბათუმში ჩვენ მთავრობასთან, რადგანაც, მისი სიტყვით, მას მოჰქონდა დაუყოვნებელი და დიდადმნიშვნელოვანი საბუთები. დელეგატი მაშინვე გავგზავნე ბათუმში და თან გავაყოლე შტაბის ოფიცერი პოდპოლკ. თულაშვილი."[28]

ამასვე ადსტურებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უკანასკნელი მთავარსარდალი, გენერალი გიორგი კვინიტაძეც. მისი სიტყვით: „როდესაც გრ. ლორთქიფანიძე სამტრედიაში მშვიდობიან ხელშეკრულებაზე ხელმოსაწერად წავიდა, საჯავახოსთან განლაგებული ჯარის მეთაურს, გენერალ მაზნიაშვილს აცნობეს, მოლაპარაკების თანახმად მოწინააღმდეგის ეშელონი დაუბრკოლებლად გაეტარებინა და საჯავახოს სადგურზე მათთვის ვაგონები გაემზადებინა."[29]

იმავე დღეს გენერალი გიორგი მაზნიაშვილი თვითონ გაემგზავრა ბათუმს, სადაც მას ბათუმის რევკომის წევრმა

---

[28] გ. მაზნიაშვილი, მოგონებები, ბათუმი, 1990, გვ. 195.

[29] Генерал Г.И.Квинитадзе. Мои воспоминания в годы независимости (Грузия 1917-1921. Париж, 1985, стр. 334.

თენგიზ ჟღენტმა ქართული ჯარის სარდლობა შესთავაზა. საუბარი ბათუმის სადგურში შედგა. „რევკომის თავმჯდომარე ს. ქავთარაძე სადგურში არ იყო. რევკომის იქ დამსწრე წევრთა შორის მე გავეცანი თ. ჟღენტს, კარპე მოდებაძეს, ურუშაძეს და დადიანს“ – იგონებს გენერალი.

თენგიზ ჟღენტმა გიორგი მაზნიაშვილს რევკომის წევრთა და ქართველ გენერალთა და ოფიცერთა თანდასწრებით განუცხადა, რომ „გაქცეული მთავრობის ნებადართვით რამდენიმე დღის წინათ ბათუმში შემოვიდნენ ოსმალების ჯარები და ქიასიმ-ბეიმ უკვე გამოაცხადა თავისი თავი ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორად, და რომ სროლა, რომელიც მოისმის ქალაქში, არის შედეგი ქართველებსა და ოსმალების შორის მომხდარი შეტაკებისა. რევკომს უკვე ჰქონდა ბჭობა ბათუმიდან ოსმალების განდევნის შესახებ იქ დამსწრე გენერალებთან და დაედგინათ ეს საქმე დაეკისრებინათ ჩემთვის, ე.ი. მეკისრნა ქართული ჯარების სარდლობა. მე ვიფიქრე: ცხადი იყო, ოსმალები თუ გამაგრდებოდნენ ბათუმში, შემდეგში ბათუმის უკან დასაბრუნებლად ჩვენ დაგვჭირდებოდა დიდი ომი, რასაც პატარა საქართველო ვეღარ შესძლებდა. **მე ვიცოდი, რომ ოსმალეთს კავშირი ჰქონდა რუსეთთან და რუსეთი ვერ ჩაებმებოდა საქართველოს და ოსმალეთს შორის ატეხილ ომში“**[30] (ხაზგასმა ჩემია, – ლ.თ.)

გიორგი მაზნიაშვილი დაეთანხმა შეთავაზებულ წინადადებას, მოადგილედ გენერალი სუმბათაშვილი დაინიშნა და განკარგულება გასცა, „გაეგზავნათ ცარიელი მატარებლები საჯავახოს ხიდთან საბჭოთა ჯარების ბათუმში გადმოსაყვანად“.

სარდალმა ციხის რაიონი ორ საბრძოლო უბნად გაჰყო. ქალაქის ნაწილი, ბარცხანა და კახაბრის ფორტები გენერალ ვარდენ წულუკიძეს დაუქვემდებარა, მეორე ნაწილი, სტეფანოეკის და ანარიის ფორტები – გენერალ ართმელაძეს. გათენებისას, დაახლოებით 4 საათზე ბათუმის რევკომის თავმჯდომარემ სერგო ქავთარაძემ ხელი მოაწე-

---

[30] გ. მაზნიაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 200.

რა ბრძანებას, რომლის ძალით გიორგი მაზნიაშვილი ოფიციალურად დაინიშნა საქართველოს წითელი ჯარის სარდლად და ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორად. ამის შემდეგ, დილაადრიან, გიორგი მაზნიაშვილმა ქიაზიმ-ბეის ულტიმატუმით მიმართა, მოითხოვა, ერთი საათის განმავლობაში შესდგომოდა თავისი ჯარების გაყვანას ბათუმის ოლქიდან და დაუყოვნებლივ გაეთვისუფლებინა წინა დღით მათ მიერ დაკავებული ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა, რადიოსადგური, ბარცხანის ფორტი და ქალაქის მილიციის შენობა. თურქეთის მხარე თუ ამ მოთხოვნებს არ შეასრულებდა, მაშინ მის წინააღმდეგ ქართული მხედრობა საომარ მოქმედებას დაიწყებდა. ულტიმატუმზე ქიაზიმ-ბეიმ პასუხი არ გასცა. ვადის ამოწურვის შემდეგ გენერალმა მაზნიაშვილმა გასცა ბრძანება დაეწყოთ საომარი მოქმედება ბარცხანის ფორტისა და ყაზარმის რაიონში.

გიორგი მაზნიაშვილი ადასტურებს: „რევკომის წევრები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ჩვენსა და ოსმალებს შორის შეტაკება არ მომხდარიყო და განუწყვეტელ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ქიაზიმ-ბეისთან, მაგრამ ქიაზიმ-ბეი ერთის მხრივ არწმუნებდა დელეგატებს, რომ ის მზადაა მშვიდობიანი გზით მოაგვაროს შექმნილი მდგომარეობა, ხოლო მეორეს მხრივ ოსმალეთის ჯარების უფროსებისაგან დეპეშით მოითხოვდა მაშველ ჯარებს. ამ დეპეშებს ჩვენები იჭერდნენ და ადგენდნენ შტაბში.

18 მარტს შუადღის 4 საათამდე არ შეწყვეტილა თოფისა და ტყვიამფრქვევების სროლა ბარცხანასა და კახაბრის რაიონებში. ჩვენმა ჯარებმა დაიჭირეს პოზიციები ნავთსადგურიდან საბარგო სადგურამდე და მათი ცდა იყო, აეძულებინათ ოსმალები დაეყარათ იარაღი“.

18 მარტსვე ბათუმში შემოვიდა პირველი ეშელონი, რომელსაც საჯავახოს სადგურიდან წითელი არმიის ნაწილები მოჰყავდა. ოსმალებმა ამ ეშელონში მათთან საბრძოლველად გამოწვეული ქართული ჯარის ნაწილები დაიგულეს (წითელ არმიასთან ომს ისინიც ერიდებოდნენ), გამოვიდნენ ფორტიდან, გააჩერეს მატარებელი და დაიწყეს ჯარისკაცთა განიარაღება. ამ მომენტით ქართულმა

ჯარებმა ისარგებლეს, შეიჭრნენ თურქების მიერ დაკავებულ ფორტში, რომლის კარები ღია დარჩენოდათ რუსი ჯარისკაცებით დატვირთული ეშელონის განიარაღებით დაკავებულ თურქ ასკერებს. გაიმართა ბრძოლა, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა. „ნახევარი საათის შემდეგ ბარცხანის მთელი გარნიზონი განადგურებულ იქნა: ნაწილი ამოხოცეს, ნაწილი კი, რიცხვით 218 ასკერი დაატყვევეს და ჩემ შტაბში გამოგზავნეს. მატარებელი ბოლოს და ბოლოს განთავისუფლებულ იქნა განიარაღებისაგან და ეშელონის მთელი ქონება უკან იქნა დაბრუნებული. მოსულ ეშელონის დასახვედრად წავიდა თ. ულენტი, ჩემი შტაბის განკარგულებით იმ ადგილას, სადაც გადმოსხეს ეშელონი გაიგზავნა ქართული სამხედრო ორკესტრი, რევკომის თავმჯდომარე – ს. ქავთარაძე მიესალმა ეშელონს და მიულოცა ბათუმში მოსვლა, რის შემდეგ ჯარები დაბინავდნენ ქალთა გიმნაზიის შენობაში“ – აღნიშნავს გენერალი მაზნიაშვილი.[31]

სად არის ამ დროს დ. ულობას დივიზია? გიორგი მაზნიაშვილი აღნიშნავს, რომ 18 მარტს, საღამოს 9 საათზე ქართველთა მზვერავებმა მასთან მიიყვანეს ერთი ცხენოსანი კაზაკი, რომელმაც განაცხადა, რომ იგი აჭარისწყლიდან გამოგზავნა დივიზიის უფროსმა ულობამ ქართული ჯარების უფროსთან „კავშირის გასაბმელად, რადგან დივიზიის უფროსმა უკვე იცის, რომ ქართველებსა და საბჭოებს შორის უკვე არის შეთანხმებაო“. აჭარისწყალზე ულობას დივიზია მოვიდა ახალციხიდან, გოდერძის ულელტეხილით.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა მხედრობამ ბარცხანის ფორტთან გამარჯვებას მიაღწია, მდგომარეობა მაინც სერიოზული იყო. ოსმალებს მთელი დღის განმავლობაში იერიში-იერიშზე მოჰქონდათ კახაბრის ფორტზე. თუ ამ ფორტს დაიბრუნებდნენ, თურქები ფაქტობრივად ბათუმის ბატონ-პატრონები ხდებოდნენ. ეს რომ არ მომხდარიყო, კახაბერში სასწრაფოდ უნდა გაეგზავნათ მაშველი

---

[31] გ. მაზნიაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 204.

ჯარი. თავისუფალი ჯარის ნაწილები კი სარდლობას არ გააჩნდა. ულობას დივიზიის უშუალო ომში ჩაბმა, ცნობილი მიზეზების გამო, არ შეიძლებოდა, თუმცა მისი გამოყენება ქართული ჯარის სარდლობამ სხვა გზით სცადა. „მე და გენ. წულუკიძემ ვითათბირეთ და გადავწყვიტეთ გამოგვეყენებია ამ საქმისათვის ამხ. ულობას დივიზია. ჩვენი გეგმა მდგომარეობდა შემდეგში: ამხ. ულობას დივიზიას თუ დავაბინავებდით სტეფანოვკისა და ანარიის ფორტებზე, თავისუფლდებოდა ამ ფორტების გარნიზონები და მე საშუალება მეძლეოდა ეს გარნიზონები გამეგზავნა დასახმარებლად კახაბრის ფორტზე. ამიტომ ჩვენ მივეცით კაზაკს მორიგე ავტომობილი, გავაყოლეთ ერთი ოფიცერი და გავგზავნე ამხ. ულობასთან. ოფიცერს დავავალეთ გადაეცა ამხ. ულობასათვის, რომ ქართული ჯარების უფროსები თხოვენ მას დაუყოვნებლივ მოვიდეს სადგურზე. ორი საათის შემდეგ ულობა თავისი შტაბის უფროსით მოვიდა ჩემთან და ჩვენ ერთად წავედით რევკომის თავმჯდომარესთან. ამხ. ულობამ მოახსენა ს. ქავთარაძეს, თუ როგორ შეასრულა მან დაკისრებული ამოცანა და თხოვა საშუალება მიეცა მისთვის გაეგზავნა დეპეშა არმიის უფროსისათვის, ხოლო მისთვის მიეცა სადგომი დივიზიის დასაბინავებლად. მოხსენება რომ გათავდა, მე გამოვთქვი ჩემი მოსაზრებანი იმის შესახებ, რომ სასურველია ამხ. ულობას რაზმი ჯერ-ჯერობით არ შემოვიყვანოთ ქალაქში და დავაბინავოთ იგი სტეფანოვკისა და ანარიის ფორტებზე, და ამით მომცენ მე საშუალება გამოვიყენო ამ ფორტების გარნიზონი. ამხ. ულობამ თქვა, რომ სანამ არ მიიღებს არმიის უფროსისაგან ინსტრუქციებს, ოსმალების წინააღმდეგ არაფერს არ მოიმოქმედებს. მაგრამ თანახმაა დროებით დაბინავდეს ხსენებულ ფორტებზე.“[32]

დაბინავებისთანავე საკავალერიო ნაწილის უფროსმა დ. ულობამ ასეთი დეპეშა გაუგზავნა მე-11 არმიის მთავარსარდალს ა. ჰეკერს და კავკასიის ფრონტის სამხედრო-რეოლუციური საბჭოს წევრს ს. ორჯონიკიძეს: „ჩემდამი

---

[32] გ. მაზნიაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 193-206.

რწმუნებული ნაწილები შეეიდნენ ბათუმში 1921 წლის მარტის 19-ს, 17 საათსა და 18 წუთზე.

ქედასთან და აჭარისწყალთან მიახლოებისას ქემალისტების სარდობლამ ყოველივე ღონე იხმარა რამდენიმე საათით ჩვენი წინსვლა შეეჩერებინა, ვითომდა გაუგებრობის მიზეზით. ქალაქ ბათუმის ქუჩებში ბრძოლა არისო, მიუხედავად ამისა, ქალაქ ბათუმის დასაჭერად წინ გავუშვი კავალერია და გზა და გაზა ჩვენ გვხვედებოდნენ თავზარდაცემული ქემალისტები. ზოგი მათ შორის იყო დაჭრილი. დაკითხვიდან გამოირკვა, ვითომ მათ თავს ესხმიან ფრანგები, ინგლისელები და ქართველები, ხოლო ქალაქს ყუმბარებს ესვრიან კრეისერიდან. როდესაც მოწინავე ნაწილებმა ქალაქს მიაღწიეს მე წარმომადგენლები გავგზავნე. მათი უკან დაბრუნებისას გამოირკვა, რომ საქართველოს ჯარის იმ ნაწილებს, რომელთაც საბჭოთა მთავრობა ეცნოთ, საშინლად დაუმარცხებიათ ოსმალები, რომელთაც განუზრახავთ ქალაქის დაკავება. ნაწილის უფროსი ჟლობა."[33]

ნამუსიანად შედგენილი დეპეშაა. საკუთარი როლი გადაუჭარბებლად არის ნაჩვენები, ქართული მხედრობისა – ობიექტურად.

ამასობაში, ბათუმში სისხლისღვრა გრძელდებოდა, სტეფანოვკისა და ანარიის გარნიზონებს, ბინა რომ ჟლობას ნაწილებს დაუთმეს, კახაბრის ფორტთან მისვლამდე მრავალი დაბრკოლების გადალახვა მოუხდათ, იყო ოსმალებთან პირდაპირი შეტაკებაც, ისინი ბრძოლით შეუერთდნენ კახაბრის ფორტს, რომელზეც გაძლიერებული იერიშები მიიტანეს ოსმალებმა 19 მარტს. ამ იერიშებს იგერიებდა არტილერია პ. ქარუმიძის მეთაურობით. ბევრი ქართველი არტილერისტი დაიხოცა, მაგრამ ოსმალებსაც დიდი ზარალი მოუვიდათ. „კახაბრის ახლო ღელეები სავსე იყო მოკლული ასკერების გვამებით. ქიაზიმ ბეის მდივანი ხშირად დარბოდა რევკომის კანცელარიაში სხვადასხვაგვარი თხოვნებით, და ამისგან გავიგეთ, რომ იმ დღეს ოს-

---

[33] გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი", 1921 წლის 22 მარტი.

მალებმა დაკარგეს ორი თვალსაჩინო შტაბ-ოფიცერი. ბათუმის მიდამოები მტრისაგან უკვე მთლად გაწმენდილი იყო, ახლა საჭირო იყო მხოლოდ განიარაღება მტრის პატარა რაზმებისა, რომლებიც ჩასაფრებულნი იყვნენ ქალაქის მილიციის და ფოსტა-ტელეგრაფის შენობაში. ეს ოპერაცია უნდა მომეხდინა 20 მარტს, მაგრამ დილის 9 საათზე ჩემთან გამოცხადდა ქიაზიმ-ბეის მდივანი და მისი სახელით გადმომცა, რომ ქიაზიმ-ბეიმ გადაწყვიტა დასცალოს ქალაქი და გადავიდეს თავის საზღვრებზე ჭოროხის იქით. ამასთან, ერთად, მდივანმა მთხოვა დამეთმო მათთვის ერთი დღის საგზალი პური, რადგან გარნიზონს სამი დღეა არაფერი უჭამია... ქიაზიმ-ბეის თხოვნა, მაშინვე დავაკმაყოფილე, გავუგზავნე საკმაო პური და ქალაქში დაბანაკებულ გარნიზონს ვუბრძანე, მიეღოთ ზომები ოსმალების მიმავალ ჯარების დასცავად, სანამ ისინი გასცდებოდნენ ფორტების ხაზს. ამის შემდეგ გავემართე რეკომის თავმჯდომერესთან და მოვახსენე, რომ 20 მარტს 12 საათიდან ბათუმში და მის ოლქში მტრის არც ერთი შეიარაღებული ჯარისკაცი აღარ არის" – წერს გენერალი გიორგი მაზნიაშვილი.[34]

ბათუმის შენარჩუნებისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა ისეთ პირობებში, როცა თურქეთის მთავრობა ხელიდან არ უშვებდა ბათუმის მიერთების არც ერთ შანსს. მიზნის მიღწევა მან აჭარის მეჯლისის (შეიქმნა 1919 წლის 31 აგვისტოს) საშუალებითაც სცადა. 1921 წლის მარტში, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა უცხოეთში გასახიზნად ემზადებოდა, აჭარის მეჯლისის თავმჯდომარესთან მემედ-ბეგ აბაშიძესთან გამოცხადდა თურქეთის მთავრობის დელეგაცია, რომელმაც მოითხოვა „ბათუმის ოლქის ანგორის მთავრობაზე გადაცემა". დელეგაცია ამტკიცებდა, რომ „საქართველოს მთავრობა დღე-დღეზე დაეცამა, ართვინის ოლქი უკვე მათ (ე.ი. თურქებს, – ლ.თ.) გადაეცათ, რომ ჩვენ (ე.ი. აჭარის მეჯლისმა, – ლ.თ.) უნდა გამოვიტანოთ დადგენილება ავტონომიურ სა-

[34] გ. მაზნიაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 207-208.

ფუძველზე თურქეთთან შეერთებისა... ბოლშევიკები ფაქტის წინაშე დადგებიან (ხაზგასმა ჩვენია, – ლ.თ.) ... ბოლოს დამთავრდა იმით, რომ ზრდილობიანად თავი დავუკარით და სამუდამოდ გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს" – იგონებს მემედ-ბეგ აბაშიძე.[35] (დავიხსომოთ! თურქთა დელეგაცია აცხადებს: აჭარა თურქეთს შევუერთოთ და „ბოლშევიკები ფაქტის წინაშე დადგებიანო"...

როგორც ითქვა, ამ დღეებში (20 მარტს) ბათუმში ჩავიდა საბჭოთა საქართველოს სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარი და რევოლუციური-სამხედრო საბჭოს წევრი შალვა ელიავა. ბათუმში შეიდა აგრეთვე წითელი არმიის ერთ-ერთი დივიზია ნ. კუიბიშევის მეთაურობით. ამ მაღალმა საბჭოთა სამხედრო ჩინოსნებმაც აქტიური საქმიანობაც გააჩაღეს ბათუმიდან თურქი ასკერების საბოლოოდ განდევნისათვის.

„გუშინდელს აქეთ მდგომარეობა არ შეცვლილა, – ნათქვამია სერგო ორჯონიკიძისათვის შალვა ელიავას მიერ ბათუმიდან გაგზავნილ ერთ-ერთ დეპეშაში, – გუშინ თურქებს წარვუდგინეთ ულტიმატუმი ბათუმიდან გაიყვანონ დანარჩენი თურქული ნაწილებიც. ვადა ამაღამ თავდება. დღეს დილით ამხანაგმა კუიბიშევმა სიტყვიერად გაუმეორა ქიაზიმს გუშინდელი მოთხოვნები. მან ჩვეულებისამებრ მიკიბ-მოკიბა და მოიმიზეზა, რომ ბათუმში არ იმყოფება თურქეთის ჯარების ჭოროხის მიმართულების დაჯგუფების სარდალი. დღეს ჩამობრძანდა ეს სარდალი სახელად ალი რიზა ბეი. იგი დათანხმდა დათქმული ვადისთვის შეასრულოს კუიბიშევის მოთხოვნები. ამჟამად ქიაზიმ-ბეი და ალი რიზა ბეი სტუმრად იმყოფებიან კუიბიშევთან. ჩვენმა კატეგორიულმა მოთხოვნებმა გამოაფხიზლეს თურქები და დღეს ქიაზიმმა განუცხადა კუიბიშევს, რომ იგი „მხოლოდ წარმომადგენელია თურქეთის". გენერალ-გუბერნატორის ტიტული ხმარებიდან გაქრა. მე ვფიქრობ მოვთხოვო ქიაზიმს, რომ თუ თურქეთის წამომადგენლად თვლის თავს, დაუყოვნებლივ გაემგზავროს თბილის-

---

[35] მემედ აბაშიძე, რჩეული ნაწერები, ბათუმი, 1973, გვ.71.

ში. თუ კელავ გენერალ-გუბერნატორად მოიხსენიებს თავს, მაშინ მივიჩნევ სხვის ტერიტორიაზე მოქმედ უცხოელ მეამბოხედ და წინადადებას მივცემ დაუყოვნებლივ დატოვოს ბათუმი და მისი რაიონი ....”[36]

სერგო ორჯონიკიძემ ამ დეპეშის გაცნობისთანავე შეატყობინა შალვა ელიავას: „სავსებით გეთანხმებით. არ დაუთმოთ არავითარ შემთხვევაში.”[37]

სერგო ორჯონიკიძესა და აბელ ენუქიძესთან პირდაპირი მავთულით ერთ-ერთი საუბრის დროს შალვა ელიავამ განაცხადა: „დღეისთვის ასეთი მდგომარეობაა, ახლახან დავამთავრე საუბარი თურქეთის ჯარების ჭოროხის მიმართულების სარდალთან ალი რიზა ბეისთან. კატეგორიულად მოვთხოვე მას ბათუმიდან გაიყვანონ ყველა შეიარაღებული თუ ტყვედ ჩავარდნილი ასკერები. დღეს მათ კატარღებით ხოფაში გადაიყვანენ, ნაწილი კი ფეხით წავა.

განიარაღებულ ტყვე ასკერებს ვუბრუნებთ ყველაფერს, რაც ჩამორთმეული ჰქონდათ, შიშვლები არიან და ვაცმევთ – 300 კაცია. დღეს მათ ჭოროხის გაღმა გაიყვანენ. ახალ საზღვარს იქით ნაწილების გაყვანისთვის მოითხოვენ ვადის გაგრძელებას. ანგორიდან მოელიან კარაბექირის განმარტებებს. მე მოვითხოვე, რომ ჯარების გაყვანა არავითარ შემთხვევაში არ დაუკავშირონ ანგორიდან მიღებულ დირექტივებს, რომ ყველა საკითხის გამო უნდა ითათბირონ ორივე ქვეყნის უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა....

დღეს არაუგვიანეს 10 საათისა, ბათუმი გაწმენდილ იქნება თურქეთის ჯარისაგან. ამის შემედეგ წინადადებას მივცემ ქიაზიმ-ბეის წარმოგვიდგინოს თავისი რწმუნებანი. თუ მას არ ექნება რწუმუნებანი საქართველოს საბჭოთა მთავრობასთან (წარმომადგენლობისათვის), გამოვაცხადებ კერძო პირად, თურქეთის ქვეშევრდომად, რომელიც ბათუმში ცხოვრობს... დღეს მოეწყო დაღუპულ ქართველ ჯარისკაცთა დაკრძალვა, ძმათა სასაფლაო აზიზიეს მოედანზე

---

[36] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ.85, ანაწ. 15, საქ. 183, ფურცელ.1.
[37] იქვე.

გათხარეს. დაკრძალეს 42 გვამი, დანარჩენი ჭირისუფლებმა წაიღეს... მოსახლეობა ჩვენდამი დიდი სიმპატიითაა განწყობილი. ჩვენი ხელისუფლების ავტორიტეტი ძალიან მაღალია. მენშევიკების მხრიდან არავინ გამოსულა დაკრძალვაზე.... თუმცა სერიოჟა (სერგო ქავთარაძე, – ლ.თ) ამბობს – მე შევთავაზეო მონაწილეობა მიეღოთ ამ სამგლოვიარო ზეიმში... მე და სერიოჟა* დაწვრილებით მოგწერთ ყველა დანარჩენ საკითხზე, რაც ბათუმს შეეხება..."[38]

საბოლოოდ ასკერები ქალაქიდან განდევნეს. ბათუმი კანონიერ პატრონს – საქართველოს დარჩა. აქ ქართულმა იარაღმა იმარჯვა. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ გაერთიანებულ ქართულ (ვთქვათ ასე პირობითად: მენშევიკურ და ბოლშევიკურ) მხედრობას ბათუმისათვის ბრძოლაში ზურგს რუსეთის წითელი არმიის ნაწილებიც უმაგრებდნენ, თუმცა საბრძოლო ოპერაციებში მათ, როგორც ვნახეთ, მონაწილეობა არ მიუღიათ.

აქ თითქოს ყველაფერი ნათელია, საერთოდ კი კვლავ პასუხგაუცემელი რჩება კითხვა: რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულების შემდეგ რატომ გახდა აუცილებელი ქართველებისა და თურქების შეიარაღებული შეტევები ბათუმში? ამ ხელშეკრულებით ხომ ბათუმზე სუზერენიტეტი თურქებმა საქართველოს „დაუთმო"? აქედან გამომდინარე თურქები უნდა გასულიყვნენ ქალაქიდან და ბათუმის საკითხი მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარებულიყო.

ამ კითხვაზე საინტერესო [თავდაპირველად ეწერა –თავისებურ] პასუხს სცემს გენერალი შალვა მაღლაკელიძე,** რომლის მოგონებებიდან ორიოდე ადგილს აქვე დავიმოწმებ. შალვა მაღლაკელიძე მოგვითხრობს ულობას მისიის შესახებ ბათუმისთვის ბრძოლაში და აღნიშნავს: ულობა „აქ რომ ჩამოვიდა ვერ გადავიდა გოდერძის ულელტეხილზე, დიდი თოვლი იდო. ამდენად ჭკვიანი იყო ლენინი. ბათუმი რომ არ დაკარგოდა ულობას მიანდო –

---

[38] უახლესი ისტორიის დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ.85, ანაწ. 15, საქ. 188, ფურც.1-8.

ხაშურს როგორც მიაღწევდნენ, ბორჯომის გზით ახალციხეში უნდა გაჭრილიყო, გადასულიყო გოდერძის უღელტეხილზე და პირველი ჩასულიყო ბათუმში, იმიტომ რომ ხელშეკრულება აქვს ლენინს თურქეთან საქართველოს გაყოფაზე, – რომელ ტერიტორიასაც დაიკავებს თურქეთი, მისი იქნება და ჟლობას მიანდო, რომ დაასწროს თურქებს, მაგრამ დიდი თოელობა იყო და ვერ გადავიდა, თურქებმა დაასწრეს და ბათუმი დაიკავეს. ამიტომაც დღესაც „სეატოს“ და „სენტოს“ ორგანიზაცია ბათუმს ხმელთაშუა ზღვის პაქტით თურქეთისად თვლის, მაგრამ ბოლშევიკებმა ეს საკითხი გადაიტანეს ისე, რომ მენშევიკები გადმოვიდნენ ჩვენს მხარეზეო. ტყუილი! მენშევიკებია ბათუმი რომ წაგვართვესო.”

შეკითხვაზე – „მართლა ხომ ქართველმა ჯარმა განდევნა თურქები?” შალვა მაღლაკელიძე პასუხობს: „დიახ, მენშევიკებმა განდევნეს და მართალი არიან თურქები, ჩვენ მენშევიკებმა გაგვდევნა, თქვენმა მტრებმაო და ჩვენ შეთანხმებული ვიყავით: რომელსაც ჩვენ დავიკავებთ, ჩვენ გვრჩებაო და რომელსაც თქვენ დაიკავებთ, ის თქვენ გრჩებათო. პირდაპირ წერია საიდუმლო მოლაპარაკებაში ლენინსა და ათა-თურქს შორის, რომ „ვსე ზემლი ე რეზულტატე ვაინი, კოტორიე ბუდუტ ზანიატი ლიბო ჩასტიამი ტურეცკიმი, ლიბო ჩასტიამი სოვეტსკიმი, იმ პრენადლეჟატ ეტი სამიე ზემლი.”[39]

შალვა მაღლაკელიძე იქვე აღნიშნავს, „... ჟლობა მეუბნება: „მი სვამი ობა პოგიბლი!” რატომ-თქო – შევეკითხე, „ნიკოგდა ნე პრასტიატ მნე ეტოვოო!” ე.ი. ბათუმი რომ ვერ დავიკავეო. „გლავნოე, პაპაშა ნე პრასტიტ”. პაპაშაო ე.ი. ლენინიო. ორივენი ისევ მოვბრძანდით უკან ბათუმში, სასტუმროში. ჟლობასგან გავიგე მე, რომ რუსეთსა და თურქეთს დაუნაწილებიათ თურმე საქართველო. ე.ი. საიდ-

---

[39] ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში. მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვიქტორ რცხილაძემ. თბ, 1994, გვ. 88.

უმლო სამხედრო შეთანხმება ყოფილა რუსეთსა და თურქეთს შორის, ინგლისელების დასტურით."[40]

თუ ულობას დავუჯერებთ, მაშინ თითქოს აქაც ყოველივე ნათელი ხდება. ადვილი ასახსნელი ჩანს ისიც, რომ 16 მარტის ხელშეკრულების შემდეგ თურქებმა არ დატოვეს ბათუმი და ქართულმა მხედრობამ ისინი იარაღის ძალით განდევნა. თურქები იმედოვნებდნენ, რომ თუ ბათუმს დაიკავებდნენ, საბოლოოდაც შეინარჩუნებდნენ. რუსეთი მათ ბათუმისათვის ბრძოლას არ გაუმართავდა. ამის გარანტიას მათ თურმე რუსეთსა და თურქეთს შორის დადებული საიდუმლო ხელშეკრულება (მოლაპარაკება) აძლევდა.

ჩვენთვის საინტერესო კითხვაზე, როგორც შალვა მაღლაკელიძე მოგვითხრობს, თვით ულობას გაუცია პასუხი. შალვა მაღლაკელიძეს სჯერა ულობასი. ჩვენს მიერ მოხმობილი მასალაც, რომელიც ფაქტობრივ მდგომარეობას ასახავს, გვაფიქრებინებს (გვავარაუდებინებს), რომ ულობა, ძირითადად, მართალს ამბობს. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია ამ საკითხზე სხვა მკვლევართა, კერძოდ, თურქ ისტორიკოსთა აზრი. ბუნებრივია, ამ და ბევრ ასეთ საკითხს საბოლოოდ მოჰფენს ნათელს სხვადასხვა ქვეყნების, უწინარესად, რუსეთისა და თურქეთის სათანადო არქივებში დაცული მასალა.

---

[40] ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში. მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვიქტორ რცხილაძემ. თბ, 1994, გვ. 88.

გვ. 15 * მუსტაფა ქემალ-ფაშა – ათათურქი – დაიბადა 1881 წელს სალონიკში. მიიღო სამხედრო განათლება. პირველ მსოფლიო ომში გენერლის ჩინით მეთაურობდა ოსმალეთის არმიას, რომელიც დარდანელს იცავდა. არ სცნო 1920 წლის სევრის სამშვიდობო ხელშეკრულებით გადაწყვეტილი კაპიტულაცია და ოსმალეთის იმპერიის დაშლა. სათავეში ჩაუდგა წინააღმდეგობის ეროვნულ მოძრაობას, თანამოაზრეებთან ერთად ჩამოაყალიბა თურქეთის ეროვნული კონგრესი და გახდა მისი თავმჯდომარე. 1923 წელს აირჩიეს რესპუბლიკად გარდაქმნილი თურქეთის პირველ პრეზიდენტად. მის სახელს უკავშირდება თურქეთის გადასვლა ევროპული განვითარების გზაზე, თურქეთის სახელმწიფოსა და საზოგადოების დასავლურ ყაიდაზე მოდერნიზაცია. სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის მიენიჭა ტიტული „ათათურქი" – თურქეთის მამა. გარდაიცვალა 1938 წელს.

გვ. 18 * ქიაზიმ ბეი – ქიაზიმ ქარაბექირ ფაშა – თურქეთის არმიის კორპუსის მეთაური, აღმოსავლეთის ფრონტის სარდალი პირველ მსოფლიო ომში.

გვ. 19 * ბუდუ მდივანი – დაიბადა 1877 წელს. ძველი ბოლშევიკი, რევოლუციურ საქმიანობას ეწეოდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში. 1918-1920 წლებში იყო XI წითელი არმიის რევოლუციური-სამხედრო საბჭოს წევრი, შედიოდა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) კავბიუროს შემადგენლობაში. 1921 წლის დამდეგს დაინიშნა რსფსრ-ს ელჩად თურქეთში. 1921-1923 წლებში იყო თბილისის რევკომის თავმჯდომარე, 1924-1928 წლებში – სსრკ საგაჭრო წარმომადგენელი საფრანგეთში. შემდეგში ეკავა სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტი, მუშაობდა სსრკ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისრად. რეპრესირებულია 1937 წელს.

გვ. 26 * არისტიდ ბრიანი (1862-1932) – საფრანგეთის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, სოციალისტი.

1909-1929 წლებში ექვსჯერ იყო საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი. ნობელის პრემიის ლაურეატი.

გვ. 28 * სერგო ქავთარაძე – დაიბადა 1885 წელს. პარტიული და საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე, ძველი რევოლუციონერი. პირველი მსოფლიო ომის წლებში იყო თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1920 წელს დანიშნეს საქართველოში რსფსრ სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მრჩველად. 1921 წლის თებერვალში, საქართველოზე წითელი არმიის თავდასხმის დროს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ იგი სხვა ბოლშევიკებთან ერთად დააპატიმრა. ციხიდან გამოშვებულ იქნა 1921 წლის მარტის შუა რიცხვებში. პატიმრობიდან განთავისუფლებისთანავე სათავეში ჩაუდგა ბათუმში ჩამოყალიბებულ აჭარის რევკომს. შემდგომში იყო საქართველოს იუსტიციის სახკომი, საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე. 1927 წელს კომუნისტური პარტიის რიგებიდან გარიცხეს, როგორც ტროცკისტული ოპოზიციის აქტიური მონაწილე. 1940 წელს აღადგინეს პარტიაში. იყო სსრკ ელჩი რუმინეთის სახლხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში. გარდაიცვალა 1971 წელს.

გვ. 28 ** ივანე (ვანო) სტურუა – დაიბადა 1870 წელს. პროფესიონალი რევოლუციონერი, საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. მონაწილეობდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დაარსებაში, რამდენჯერმე იყო პატიმრობასა და გადასახლებაში. საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი, შემდეგში საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარი. გარდაიცვალა 1931 წელს.

გვ. 28 *** თენგიზ ჟღენტი –დაიბადა 1887 წელს. საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. გურიის გლეხთა რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ იყო კავკასიის არმიის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1918-1919 წლებში ოდესის საბჭედრო კომისარი. კომინტერნის დამფუძნებელი კონგრესის

დელეგატი. მონაწილეობდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში აზერბაიჯანსა და საქართველოში. იყო აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი, შემდეგ საქართველოს ცაკის მდივანი და სხვ. რეპრესირებულია 1937 წელს.

გვ. 28 **** **გიორგაძე** – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალ-გუბერნატორი ბათუმის ოლქში 1920-1921 წლების მიჯნაზე.

გვ. 31 * **კალისტრატე საჯაია** – დაიბადა 1895 წელს. რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე უკრაინასა და საქართველოში. ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1915 წელს დაამთავრა ოდესიის (ნოვოროსიის) საიმპერატორო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 1918 წელს იყო ოდესის ოლქის რევკომის თავმჯდომარე, 1921 წლს ბათუმის რევკომის თავმჯდომარის მოადგილე.

გვ. 31 ** **პ. სიტინი** – რუსი გენერალი, რსფსრ სრულუფლებიანი წარმომადგენლობის (საელჩოს) სამხედრო ატაშე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. 1920-1921 წლებში მან შეადგინა და რუსეთის რევოლუციური სამხედრო საბჭოს საველე შტაბს წარუდგინა ხუთი საიდუმლო მოხსენება, რომლებშიც მოცემული იყო საქართველოს დაშლა-დანაწევრებისა და წითელი არმიის გამოყენებით მისი ანექსიის გეგმა.

გვ. 33 * **შეინმანი** – რსფსრ ელჩი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1920-1921 წლების მიჯნაზე. ამ პოსტზე შეცვალა ცნობილი ბოშევიკი სერგეი კიროვი.

გვ. 35 * **დიმიტრი პეტრეს-ძე ჟლობა** – დაიბადა 1887 წელს კიევში. იყო 1905-1907 წლების რუსეთის სახალხო რევოლუციისა და უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების აქტიური მონაწილე. სამოქალაქო ომის გმირი, საკავალერიო ბრიგადის, კორპუსის, დივიზიის მეთაური. 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოში საბჭოთა რუსეთის აგრესიის დროს სათავეში ედგა მე-18 ცხენოსანთა დივიზიას, რომელიც გოდერძის უღელტეხილით გადავიდა აჭარაში და დაიკავა ქალაქი ბათუმი. დემობილიზა-

ციის შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა სამეურნეო თანამდებობაზე. 1937 წელს დააპატიმრეს და მომდევნო წელს დახვრიტეს როგორც „ხალხის მტერი."

გვ. 35 ** **გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძე** – დაიბადა 1886 წელს. საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, ძველი რევოლუციონერი. მონაწილეობდა ირანის 1905-1911 წლების რევოლუციაში. რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული და გადასახლებული. მონაწილეობდა პეტროგრადის 1917 წლის ოქტომბრის შეიარაღებულ აჯანყებაში. სამოქალაქო ომის წლებში იმყოფებოდა სხვადასხვა ფრონტებზე, როგორც წითელი არმიის თვალსაჩინო პოლიტიკური ხელმძღვანელი. 1920 წელს დაინიშნა კავკასიის ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრად და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს თავმჯდომარედ. იყო აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1922-1926 წლებში ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტს, შემდგომ იყო სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, 1932 წლიდან სსრკ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი. მისი სახელი მიკუთვნებული ჰქონდა არაერთ ქალაქს, სოფელს, კოლმეურნეობას თუ სხვა ობიექტს.

ოფიციალური ინფორმაციით, ს. ორჯონიკიძე 1937 წელს გარდაიცვალა გულის შეტევით. არსებობს თვალსაზრისებიც, რომ მან თავი მოიკლა ან მოკლეს, თუმცა დამადასტურებელი დოკუმენტური მასალა მიკვლეული არ არის.

გვ. 36 * **შალვა ელიავა** – დაიბადა 1883 წელს. საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, ძველი რევოლუციონერი. 1919 წელს აირჩიეს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად. 1920 წელს დაინიშნა რსფსრ სრულუფლებიან წარმომადგენლად ოსმალეთსა და ირანში. იმავე წლის ბოლოდან იყო XI წითელი არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრი და

ამ არმიას ერთ-ერთი პირველი მოუძღოდა საქართველოში. შ. ელიავა იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორგანიზატორთაგანი, საქართველოს რევკომის წევრი, საქართველოს სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი, საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე და სხვ. რეპრესირებულია 1937 წელს.

გვ. 36 ** ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე კუიბიშევი – დაიბადა 1893 წელს. საბჭოთა მხედართუფროსი. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, როგორც ბატალიონის მეთაური. 1918 წლიდან რსფსრ უმაღლესი სამხედრო ინსპექციის წევრი, სამხედრო კომისარი, მეთაურობდა ბრიგადას, დივიზიას, კოპუსს. 1921 წელს საქართველოში რუსეთის ბოლშევიკური აგრესიის დროს სათავეში ედგა XI წითელი არმიის IX მსროლელ დივიზიას (ამ დივიზიის 74-ე პოლკის მეორე ბატალიონს მეთაურობდა შემდეგში საბჭოთა პარტიული ლიდერი ნიკიტა ხრუშჩოვი). 1937 წელს ნ. კუიბიშევი დაინიშნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად. 1938 წელს იგი დახვრიტეს ანტისაბჭოთა სამხედრო-ფაშისტურ შეთქულებაში მონაწილეობის ბრალდებით.

გვ. 52 * სერიოჟა – სერგო ქავთარაძე. იხ. შენიშვნა გვ. 28 *.

გვ. 52 ** შალვა მაღლაკელიძე – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწე. ემიგრაციის პერიოდში დაკავშირებული იყო ჰიტლერის სამხედრო სარდლობასთან, მეორე მსოფლიო ომის წლებში გერმანელთა მიერ პოლონეთში ჩამოყალიბებული ქართული ბატალიონის ერთ-ერთი კურატორი და მეთაური. გენერალი. გასული საუკუნის 50-იან წლებში იგი საბჭოთა სპეცსამსახურებმა დასავლეთ ბერლინში მოიტაცეს და საქართველოში ჩამოიყვანეს. გარდაიცვალა 1976 წელს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. უახლესი დოკუმენტების შენახვისა და შესწავლის რუსეთის ცენტრი, ფ. 85,
ანაწ. 15, საქ. № 176.
საქ. № 183.
საქ. № 188.

2. პოლიტიკური პარტიების არქივი (ქ. თბილისი), ფ. 14. ანაწ. 4, საქ. № 13.

3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ჰარვარდის უნივერსიტეტის მიკროფირების ფონდი, საქ. № 386.
შაქ. № 387.
საქ. № 388.
საქ. № 738.

4. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 281, საქ. № 168

5. გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი", 1921 წლის 22 მარტი.

6. მემედ აბაშიძე, რჩეული ნაწერები, ბათუმი, 1973.

7. ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989.

8. ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში. მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვიქტორ რცხილაძემ. თბ, 1994.

9. Генерал Г.И.Квинитадзе. Мои воспоминания в годы независимости (Грузия 1917-1921. Париж, 1985.

10. М.Кемаль. Путь новой Турции. Т.III, М., 1934.

11. Сборник действующих договоров, соглашсний и конвенций, заключенных РСФСР с иностранными государствами. Вып.II.Договора, вступившие в силу по 1/XII-21 г. М., 1921.